CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 25 მაისი, 2009 წელი. №114 (2152) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

თეთრი 26 მაისი
A2

პრესომბუდსმენი
A3



gwp
MORE THAN JUST WATER

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (ყოფილი "თბილისის წყალი")
უპრეცედენტო აქციას იწყებს
A3

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის საფინანსო ჯგუფი

გაჩერება ნიშნავს უკუსვლას

თამარ ხორბალაძე

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დიალოგმა, ამ ეტაპზე, შედეგი ვერ მოიტანა. ოპოზიცია გზების გადაკეტვას გეგმავს, ხელისუფლება არასტაბილურობით მიღებულ ზარალზე საუბრობს. პოზიციათა დაახლოება კი ისევ ვერ ხერხდება. როგორი უნდა იყოს გამოსავალი? არის თუ არა დღეს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი და რამდენად ადეკვატურები არიან მხარეები სიტუაციის შეფასებისას? ამ თემებზე "24 საათი" ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს გიგი თევზაძეს ესაუბრება:

- დღეს ექსპერტები და ოპოზიციის ნაწილი აქტიურად საუბრობს, რომ შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა.

- ვისთვის იქნებოდა გამოსავალი? ჩემთვის ეს გაუგებარია. იმ კვლევების თანახმად, რაზეც მე ხელი მიმიწვდება, შედეგი დაახლოებით იგივე იქნება, რაც იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

იზაბელის არჩევანი

62-ე და ყველაზე დასამახსოვრებელი

სოფო კილასონია

კანში მყოფთა წინასწარმეტყველება ასრულდა - ჟიურის თავმჯდომარემ, ფრანგმა მსახიობმა იზაბელ იუპერმა თავისი გაიტანა და კანის 62-ე კინოფესტივალის ოქროს პალმის რტოს მფლობელი მიხაელ ჰანეკე გახდა. რეჟისორი, რომელიც იუპერს აღმერთებს, ეს ქალბატონი მისი შთაგონების წყაროა და მუზამაც არ უღალატა მას...

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჰანეკე არ იმსახურებდა. ამაზე კრიტიკოსები კიდევ ისაუბრებენ, თუმცა კანის ფესტივალის წლევანდელი უცნაურობებით სავსე ვერსია, რომელმაც მსოფლიო კინემატოგრაფის არაერთ დიდ რეჟისორს უმასპინძლა, კითხვის ნიშნებს მაინც დატოვებს. კენ ლოუჩი, პედრო ალმოდოვარი, ლარს ფონ ტრიერი, ჟაკ ოდიარი, ალან რენე, კვენტინ ტარანტინო - მათზე ბევრი ითქვა.

გაგრძელება A10 გვერდზე

კანის ჟიური და ოქროს პალმის რტოს მფლობელი, რეჟისორი მიხაელ ჰანეკე

CMYK - 1

რუსული კატარღა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოსული რუსული სამხედრო კატარღა ფიჩორის წყლებში გაჩერდა. რუსული კატარღა, რომელზეც ტყვიამფრქვევია დამონტაჟებული, განმუხურთან გუშინ შუადღისას შენიშნეს. მას ვერტმფრენი მოაცილებდა, თუმცა ორივე მათგანი უკან მალევე გაბრუნდა და ფიჩორის წყლებში გაჩერდა. გარდა ამისა, რუსული მხარე განაგრძობს დამატებითი საგუშაგოების მოწყობას იმ ადგილებში, სადაც ადრე აფხაზური საგუშაგოები იყო განლაგებული.

პირველი

"დამოუკიდებლობიდან" ასიმილაციისკენ

მოსკოვი და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას ამზადებენ, - იუწყება ოსური რადიო .

ცხინვალში რუსეთის ფედერაციის ე.წ. ელჩ ელბრუს კარგიევის განცხადებით, უკვე მზად არის იმ დოკუმენტების სია, რომელთა საშუალებითაც რუსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს საზღვრის დაუბრკოლებლად გადაკვეთა შეეძლებათ.

კარგიევი იმედოვნებს, რომ საბოლოო შეთანხმების მიხედვით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები რუსეთის ფედერაციაში შესვლას შიდა პასპორტებითაც შეძლებენ.

სამხრეთ ოსეთის შიდა პასპორტები რუსეთის ფედერაციაში დამზადდა და საკმაოდ მაღალი ხარისხი და დამცავი ნიშნები აქვს, ამიტომ ვერ ვხედავ დაბრკოლებას შეთანხმების ხელმოწერისთვის, რათა საჭირო აღარ გახდეს სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთის პასპორტების დამზადება, -აღნიშნავს კარგიევი.

მისივე თქმით, შეთანხმების პროექტი ამჟამად ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშია და სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმების პროცესი მიმდინარეობს, რის შემდეგაც შეთანხმებას ხელი მოეწერება. მზადდება შეთანხმება ორმაგი მოქალაქეობის შესახებაც.

ინტერპრესნიუსი

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია

ოსლოში 22-26 მაისს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია გაიმართება, რომელზეც ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ. სესიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა რუსეთ-საქართველოს და ნატო-რუსეთის ურთიერთობებია.

საქართველოს ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე გუშინ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა. ამასთან, ნორვეგიაში სამუშაო ვიზიტით მყოფმა ბარამიძემ ორმხრივი შეხვედრები გამართა ნორვეგიის პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან, ასევე ნატო-ში რუმინეთის მუდმივ წარმომადგენელთან.

ვიზიტის პირველ დღეს, ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მუშაობაში მონაწილეობის პარალელურად, გიორგი ბარამიძემ ნორვეგიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იან პეტერსენთან და დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრ ბრიუს ჯორჯთან გამართა შეხვედრები. შეხვედრებზე გიორგი ბარამიძემ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარების, ოპოზიციასთან დიალოგის მნიშვნელობისა და ხელისუფლების წინადადებების შესახებ ისაუბრა.

ამასთან, განხილულ იქნა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შედეგები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და ამჟამინდელი საფრთხეები. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებსა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებს.

პირველი

თეთრი 26 მაისი

ოპოზიცია პროტესტის აპრობირებულ ხერხს მიმართავს

AFP ' 2009

დათო გამსონია

საპროტესტო აქციების სახალხო ლიდერად ქცეული მომღერალი უცნობი უკვე რამდენიმე დღეა, ოპოზიციის ლიდერებთან და მხარდამჭერებთან ერთად, ბათუმიდან თბილისისკენ მოიწევს. დედაქალაქისკენ მომავალი კოლონა გზად, ფაქტობრივად, ყველა ქალაქში მართავს საპროტესტო აქცია-კონცერტებს. გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები თბილისშიც აქტიურად აგრძელებენ მომხრეებთან შეხვედრებს და მათ 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე მისვლისკენ მოუწოდებენ.

თბილისში სახელმწიფო დაწესებულებებთან გამართული საპროტესტო აქციების შემდეგ ხელისუფლების ოპონენტები პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით მსვლელობებს სხვა ქალაქების მიმართულებითაც აწყობენ. ამჯერად ხაშურში ჩატარებული საინფორმაციო მიტინგიდან მანიფესტანტები, მომღერალ გია გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით, გორის მიმართულებით დაიძრნენ. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გუშინ ცენტრალური მაგისტრალი, დაახლოებით, 30 წუთით გადაკეტეს, რადგან მათი ავტომანქანების კოლონა გზატკეცილს მთელ სიგანეზე იკავებდა. ოპოზიციის წევრების თქმით, ამის გამო გზაზე მოძრავი ავტობობილების მძღოლების უმრავლესობას პროტესტი არ გამოუთქვამს. მსვლელობაში მონაწილე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გოგა ხაინდრავამ მანიფესტანტების რაოდენობაზე ისაუბრა. მისი თქმით, გზაში ღამის გათევის საშუალება მხოლოდ 400 ადამიანს აქვს და ამიტომ აქციის ორგანიზატორები მხარდამჭერების რაოდენობის გაზრდას მცხეთაში ელოდებიან.

25 მაისს ყველა შემოგვიერთდება, ღამეს ჯვრის მონასტერთან გავათევთ და 26 მაისს დილით, თბილისისკენ ერთად დავიძრებით, - განაცხადა ხაინდრავამ. გუშინ საღამოს მომღერალმა უცნობმა საპროტესტო აქცია-კონცერტი გორში ჩაატარა, შემდეგ კი აქციის მონაწილეებმა უფლისციხის მიმდებარე ტერიტორიაზე გაათენეს ღამე.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაგეგმილი სამოქალაქო აღლუმის მოლოდინში, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა მოქალაქეებს პროტესტის გამოხატვის ნაცადი ხერხის გამოყენებისკენ მოუწოდეს. კერძოდ, გუშინ ახმეტელის თეატრთან გამართულ საპროტესტო მიტინგზე ოპოზიციონერებმა მოქალაქეებს 26 მაისს თეთრი ფერის მაისურების ჩაცმა და ეროვნულ სტადიონზე 12:00 საათზე მისვლა სთხოვეს. **ვისაც ფიზიკურად არ შეუძლია ეროვნულ სტადიონზე მისვლა, პროტესტის ნიშნად სახლის ფანჯრებიდან გადმოკიდოს თეთრი ბაირაღები და ამით გამოხატოს პროტესტი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ,** - განაცხადა ახმეტელის თეატრთან მყოფმა კონსერვატორმა ბიძინა გუჯაბიძემ. მომიტინგეებს სიტყვით მიმართა ალიანსი საქართველოსთვის წევრმა ზურაბ აბაშიძემ. მან ალიანსის ლიდერ ირაკლი ალასანიას მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს კიდევ ერთხელ გასცა პასუხი. **ძალზე ხშირად ისმის კითხვა, სად არის ირაკლი ალასანია. მინდა, გითხრათ, რომ ალასანია ხალხთან არის და ვიდრე ვადამდელ არჩევნებს არ მივაღწევთ, მანამდე ოპოზიცია გაჩერებას არ აპირებს, ამიტომ ყველა გულანთებული კაცი 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე უნდა იყოს,** - განაცხადა აბაშიძემ.

ახმეტელის თეატრთან გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ ზურაბ აბაშიძე, სხვა პოლიტიკურ მოკავშირეებთან ერთად, დიდი დიღმის მაცხოვრებლებს შეხვდა. საპროტესტო მიტინგზე იმყოფებოდნენ ალიანსი საქართველოსთვის წევრები დავით ბერძენიშვილი, თინა ხიდაშელი, ფიქრია ჩიხრაძე, მანანა ნაჭყებია და ასევე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე. მისი აზრით, ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში ოპოზიციამ უფრო მეტად უნდა გაამწვავოს პროტესტი, რადგან ხელისუფლებას უკვე აღარ ექნება წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

თუ სააკაშვილს ხალხი გამოუცხადებს პროტესტს, ხელისუფლებას არანაირი რესურსი არ დარჩება, - აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

დიდ დიღომში შეკრებილებს სიტყვით მიმართა ალიანსი საქართველოსთვის წევრმა დავით ბერძენიშვილმა. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების სისუსტეებზე გაამახვილა ყურადღება. **საქართველოს ჰყავს პასუხისმგებლიანი ოპოზიცია და პროვოკატორი ხელისუფლება. ჩვენ სააკაშვილის მოსისხლეები არა ვართ, რომ მის მოშორებას ქვეყანა გადავაყოლოთ. ჩვენ გვაქვს ინტელექტუალური უპირატესობა და თეორიულადაც არ დავუშვებთ, რომ ხელისუფლებამ სისხლიანი პროვოკაცია მოგვიწყოს. ამიტომ 26 მაისს მთელი საქართველო უნდა შეიკრიბოს და გააცამტვეროს სააკაშვილის ხელისუფლება,** - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

კათოლიკოს-პატრიარქის ოპტიმიზმი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II იმედოვნებს, რომ პოლიტიკოსებს შორის არსებული დაპირისპირება კეთილად დასრულდება.

მე ვფიქრობ, რომ ის დაპირისპირება, რომელიც არსებობს პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, კეთილად დამთავრდება. მოდის 26 მაისი. შეიძლება, რთული დღე იყოს და მინდა, გთხოვოთ ყველას, გავაძლიეროთ ლოცვა, რომ საქართველოში სუფევდეს მშვიდობა, ადამიანთა შორის კი - სათნოება და კეთილი განწყობა," - ბრძანა გუშინ პატრიარქმა ყოვლად წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას.

გუშინვე კათოლიკოს-პატრიარქმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს ანგელოზის დღე მიულოცა.

დღეს არის ანგელოზის დღე პატრიარქისა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კირილესი. თქვენი და ჩვენი სამღვდელოების სახელით, ვულოცავ მას ანგელოზის დღეს. მინდა, ვთქვა, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ჩვენი ქვეყნების სასიკეთოდ," - ბრძანა პატრიარმა ქადაგებისას.

გუშინ უწმინდესმა სამების ტაძრის მოძღვარი მამა ადამი იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის წინამძღვრად აკურთხა. ილია II-მ, ტრადიციულად, გვარის ლოცვაც წაიკითხა და ბუაძეების გვარი დალოცა.

გუშინვე სამების ტაძარში ჩვილთა ნათლობა ჩატარდა, რომელიც, პატრიარქთან ერთად, რამდენიმე სასულიერო პირმა შეასრულა. პატრიარქის ნათლული კიდევ 600-მდე ჩვილი გახდა. პატრიარქმა თავისი ახალი ნათლულები დალოცა.

კათოლიკოს-პატრიარქს უკვე 2000-ზე მეტი ნათლული ჰყავს. ტრადიციას საფუძველი 2008 წლის 18 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე ჩაეყარა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ახლახან დავბრუნდი იტალიიდან... ერთ-ერთი მკაფიო შთაბეჭდილება - სილვიო ბერლუსკონის წინასაარჩევნო კლიპი. კარგა ხუთი თუ ექვსი წუთის განმავლობაში ეკრანზე წყვილ-წყვილად ჩნდებიან თვალწარმტაცი ქალები (ბოდიშს ვითხოვ მოძველებული სიტყვისთვის, რადგან ახლა ან "ქალბატონი" უნდა დაწერო, ან "მანდილოსანი"), — მასწავლებლები, სტილისტები, ექიმები, მძღოლები, მიმტანები, მსახიობები, ერთი სიტყვით, მთელი იტალიელი ერი, — რომლებსაც კამერა სწორედ პროფესიული მოვალეობის მომენტში იჭერს. მართალია, არც ერთი მათგანი არ ჰგავს შეაბამისი პროფესიის მართლაც პროფესიულად შემსრულებელს და ამით ეს კლიპი ეხმაურება ტელეკომპანია "მაესტროს" ახალ ნამუშევარს, სადაც სოფლის ორლობეებში მობირჟავე გოგო-ბიჭებს არც კი ეტყობათ, რომ სოფელი ცხოვრებაში ნანახი ჰქონდეთ. ერთი სიტყვით, ზემოხსენებული იტალიელი თოჯინები მომღიმარე სახეებით მღერიან ერთ უსაშველოდ გრძელ სიმღერას, რომლის რეფრენი, რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, ასე ჟღერს: "კიდევ კარგი, არსებობს სილვიო!".

ძალიან დამაინტერესა, თუ ითვლის ვინმე წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში გამოყოფილ საეთერო წამებს, თუ ანგარიშობს "სამთავრობო რესურსის" გამოყენებას და აპენინის ნახევარკუნძულს თუ ადგას თავზე სულთამხუთავივით ყოვლისშემძლე "ფრიდომ ჰაუსი".

ეს საკითხი არც ისე მსუბუქია, როგორადაც გვეჩვენება — სწორედ იმიტომ, რომ არსებითად უკავშირდება თბილისური ცხოვრების მსუბუქ არეულობას.

ამ არეულობის ასეთი უსაშველო გაგრძელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი სწორედ ის დაჟინებული მზერაა, რომლითაც დასავლეთი აკვირდება საქართველოში განხორციელებული დემოკრატიის დონეს. ეს დაჟინებული მზერა, უნდა ითქვას, უკვე სცილდება საღი გონებითა და გულწრფელი პოლიტიკით ნაგულისხმევ ფარგლებს, სულ უფრო და უფრო იკვეთება სხვა, უფრო ნამდვილი, თუმცა კი ნაკლებად ღირსეული მიზეზი: რუსეთის მიმართ აქტიური მორალური პოზიციის დაკავებისაგან თავის დაღწევა ყველა შესაძლო საბაბით. თუმცა ეს მსჯელობის სხვა დონეა, რომელზეც გადასვლას არ ვაპირებთ: მაინც რჩება მცირე, მაგრამ საგრძნობი სივრცე, რომელშიც ჯერაც საკუთარ თავს ვეკუთვნით და ამიტომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენს მდგომარეობაზე, როგორც ჩვენს შინაგან საქმეზე.

წარსულშიც ბევრჯერ გვითქვამს, რომ არავითარი პოლიტიკური კრიზისი არ არსებობს, რადგან პოლიტიკური კრიზისი, განსაზღვრის თანახმად, არის მდგომარეობა, როცა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობები, რის გამოც ვერ ხერხდება ქვეყნის მართვა. მაშინ კრიზისის იდეის კულტივირებას ვაბრალებდით ქართულ მედიას. მართლაც, ყველაზე ხშირად ეს ორი სიტყვა — "პოლიტიკური კრიზისი" — სწორედ ტელეეკრანიდან ისმის. მაგრამ დღეს ვითარება ოდნავ შეიცვალა...

არა, ფიქციური კრიზისი სინამდვილედ არ ქცეულა, არც ვითარებას გადაუდგამს სახიფათო ნაბიჯები. უბრალოდ, მედიის უტვინობას ხმა ააყოლა ხელისუფლების შეგნებულმა ტაქტიკამ. შეიქმნა უცნაური მდგომარეობა: როცა რეალურად არავითარი კრიზისი არ არსებობს, მაგრამ ქვეყნის გარეგნული მდგომარეობა ისეთია, თითქოს კრიზისი მაინც არსებობს. კიდევ უფრო ზუსტად: შეცდომაა — "ქვეყანა ვერ იმართება"; სწორია — "ქვეყანა არ იმართება".

კაცმა რომ თქვას, ეს ნეგატიური ელფერიც საკმაოდ სუსტად ეტყობა ჩვენს გარშემო სინამდვილეს, მაგრამ ვინ იცის, რას ნიშნავს ზმნიზედა "სუსტად" და გაძლიერების რა პოტენციალი შეიძლება აღმოაჩნდეს ამა თუ იმ ჯერ კიდევ მკრთალად მონიშნულ ტენდენციას: ავტობუსებში უბილეთო მგზავრების რიცხობრივ ზრდას, ნვრილმანი დანაშაულების მომრავლებას თუ რელიგიურ ექსტრემისტთა გათავხედებას.

მაშ ასე, რატომ არ იმართება ქვეყანა? — არა, ეს მაინც ზედმეტად ხმამაღლა ჟღერს. ბევრად უფრო მეტად შევინარჩუნებთ მეცნიერულ სიმკაცრეს, თუ ასე ჩამოვაყალიბებთ სათქმელს: რატომ არ მოჰბანენ პირს ქალაქ თბილისს?

გერმანელმა მკვლევარმა, ნორბერტ ელიასმა საკმაოდ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების უმრავლესობა არ არის ცალსახად განპირობებული რაღაც ნათლად გააზრებული იდეათა სისტემით. ამგვარი იდეები რომც არსებობდნენ, მათზე ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენს ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დეტალები, პოლიტიკასთან თითქოს დაუკავშირებელი ქცევის წესები, დომინანტური განწყობები და ა. შ.

ტერმიტებს, მაგალითად, საკვირველი შენობების ასაგებად და მტკიცე სოციალური სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად სრულიად არ სჭირდებათ აზროვნება: საკმარისია სუნების სასრული რაოდენობის ხისტი დაკავშირება გარკვეულ მარტივ მოქმედებებთან: თუ ეს სუნი იყნოსე, გადადგი ნაბიჯი მარჯვნივ და გადმოაფურთხე ის, რასაც ღეჭავ; თუ სხვა სუნი იყნოსე, იცოდე, რომ შენ წინ უფროსი დგას და ა. შ.

თუ ვითარების აღსაწერად ელიასის მემკვიდრეობას დავესესხებით (სულ ოდნავ, ასე ვთქვათ, გემოვნებისათვის) და ტერმიტების მეტაფორას გამოვიყენებთ, მაშინ ამ აღწერის მთავარი შედეგი უნდა იყოს მოცემული მდგომარეობის განმაპირობებელი უმარტივესი სტიმულების გამოყოფა, ხოლო ამოსავალი წერტილი — საწყისი სტრუქტურის შერჩევა.

ძირითადი სტრუქტურა მართლაც მარტივია:

"რადიკალური ოპოზიცია" — ამათი განხილვა აღარ არის არსებითი, რადგან საინტერესო აღარ უნდა იყოს, რა მოსაზრებებს ეყრდნობა და რა სტიმულებს ემორჩილება უფროსი "გრეჩიხა", როცა ზუგდიდელებს ვაჟკაცობას უწუნებს. მივანდოთ ამაზე ფიქრი მიხეილ სააკაშვილს — როგორც ეტყობა, მხოლოდ ის ხედავს ამ საკითხის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მხოლოდ ის მიიჩნევს გამოხმაურების ღირსად, ჰოდა, ნუ მოვაკლებთ ამ სიამოვნებას.

"ხელისუფლება" — ეს სულაც არ ნიშნავს მარტოოდენ მმართველ უმრავლესობას. აქ საპარლამენტო ოპოზიციაც შედის. ამიტომ ყველაზე კონკრეტული პრობლემა არის იმის გამოკვლევა, რამ აფიქრებინა ამ ხალხს, თითქოს შექმნილი ვითარება მართლაც საჭიროებს საკონსტიტუციო რეფორმას. აქ ნელ-ნელა მატულობს ეჭვი, რომ საქმე გვაქვს ისეთივე ფენომენთან, როგორსაც თავის დროზე, ანუ ხმაურიანად დაწყებულ და უხმაუროდ დასრულებულ დინასტიურ ქორწინებამდე, წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიაზე კამათი. შესაძლებელია, ახლაც იმავე ყაიდის აზრი იყოს გადამწყვეტი: ღრღნას საპარლამენტო ოპოზიციამ საკონსტიტუციო რეფორმათა ძვალი — გაკვნეტით ვერ გაკვნეტს, მაგრამ საქმე ხომ მიეცემა! მართლაც, რა საოცრად მომხიბვლელი ინტელექტუალური ამოცანაა იმის გადაწყვეტა, ვინ ჯობია — მინდია უგრეხელიძე თუ ჯონი ხეცურიანი.

რაც შეეხება საკუთრივ მმართველ ჯგუფს, აქ საქმე ოდნავ უფრო რთულადაა — ეს ერთადერთი სფეროა, სადაც ვარაუდებმა მართლაც შეგვიძლია დაგვაზარალოს. სადაც საქმე გვაქვს რეალურ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობებთან, ვარაუდებით შორს ვერ წახვალ: აქ ზუსტი ინფორმაციაა საჭირო. ჩვენც ბოლოს გადავდოთ ამაზე ერთი ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა...

"საზოგადოება" — ოჰ, ეს კი რთულია. უნდა გავამარტივოთ. აქ ბუნებრივი იქნება, თუ გამოვყოფთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ჩამოთვლილ მხარეთაგან ერთგვარ დამოუკიდებლობას აცხადებს...

რა თქმა უნდა, ამ დამოუკიდებლობის ხასიათი სხვადასხვანაირია: მაგალითად, არიან ადამიანები, რომელთა არგუმენტი, ასე ვთქვათ, სნობურია — მათ, უბრალოდ, "უტყდებათ" რომელიმე მხარეს აშკარად დადგომა. ქცევის ეს წესი, რა თქმა უნდა, წარსულიდან არის გამოყოლილი: მოქალაქეობრივი პოზიციის ღიად განცხადება ისევე სათაკილოა, როგორც ავტომობილში ან თვითმფრინავში უსაფრთხოების ღვედის შემოკვრა. ამ კლასში შემავალი სუბიექტები, ძირითადად, სიმპათიით მოიხსენიებენ ირაკლი ალასანიას, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ მხოლოდ ნაცრისფერობისა და უსახურობისათვის — ამ ფონზე ხომ განსაკუთრებით აყვავდება ჩვენი შესაძლებლობები (თვითირონია ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს).

ესენი ჯერ კოალიციურ მთავრობას ითხოვდნენ (თუმცა კი არც ძალიან ხმამაღლა), მერე კი დიალოგს (აქ ხმას აუწიეს). დიალოგის დაწყებისთანავე გამოჩნდა, რომ ეს წამოწყება სრულიად უპერსპექტივოა. მაგრამ უპერსპექტივობას ბევრად უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, რადგან მთლიანად "მეემორჩილება უფროსი "გრეჩიხა", როცა ზუგდიდელებს ვაჟკაცობას უწუნებს. მივანდოთ ამაზე ფიქრი მიხეილ სააკაშვილს — როგორც ეტყობა, მხოლოდ ის ხედავს ამ საკითხის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, მხოლოდ ის მიიჩნევს გამოხმაურების ღირსად, ჰოდა, ნუ მოვაკლებთ ამ სიამოვნებას.

"ხელისუფლება" — ეს სულაც არ ნიშნავს მარტოოდენ მმართველ უმრავლესობას. აქ საპარლამენტო ოპოზიციაც შედის. ამიტომ ყველაზე კონკრეტული პრობლემა არის იმის გამოკვლევა, რამ აფიქრებინა ამ ხალხს, თითქოს შექმნილი ვითარება მართლაც საჭიროებს საკონსტიტუციო რეფორმას. აქ ნელ-ნელა მატულობს ეჭვი, რომ საქმე გვაქვს ისეთივე ფენომენთან, როგორსაც თავის დროზე, ანუ ხმაურიანად დაწყებულ და უხმაუროდ დასრულებულ დინასტიურ ქორწინებამდე, წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიაზე კამათი. შესაძლებელია, ახლაც იმავე ყაიდის აზრი იყოს გადამწყვეტი: ღრღნას საპარლამენტო ოპოზიციამ საკონსტიტუციო რეფორმათა ძვალი — გაკვნეტით ვერ გაკვნეტს, მაგრამ საქმე ხომ მიეცემა! მართლაც, რა საოცრად მომხიბვლელი ინტელექტუალური ამოცანაა იმის გადაწყვეტა, ვინ ჯობია — მინდია უგრეხელიძე თუ ჯონი ხეცურიანი.

რაც შეეხება საკუთრივ მმართველ ჯგუფს, აქ საქმე ოდნავ უფრო რთულადაა — ეს ერთადერთი სფეროა, სადაც ვარაუდებმა მართლაც შეგვიძლია დაგვაზარალოს. სადაც საქმე გვაქვს რეალურ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობებთან, ვარაუდებით შორს ვერ წახვალ: აქ ზუსტი ინფორმაციაა საჭირო. ჩვენც ბოლოს გადავდოთ ამაზე ერთი ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა...

"საზოგადოება" — ოჰ, ეს კი რთულია. უნდა გავამარტივოთ. აქ ბუნებრივი იქნება, თუ გამოვყოფთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ჩამოთვლილ მხარეთაგან ერთგვარ დამოუკიდებლობას აცხადებს...

რა თქმა უნდა, ამ დამოუკიდებლობის ხასიათი სხვადასხვანაირია: მაგალითად, არიან ადამიანები, რომელთა არგუმენტი, ასე ვთქვათ, სნობურია — მათ, უბრალოდ, "უტყდებათ" რომელიმე მხარეს აშკარად დადგომა. ქცევის ეს წესი, რა თქმა უნდა, წარსულიდან არის გამოყოლილი: მოქალაქეობრივი პოზიციის ღიად განცხადება ისევე სათაკილოა, როგორც ავტომობილში ან თვითმფრინავში უსაფრთხოების ღვედის შემოკვრა. ამ კლასში შემავალი სუბიექტები, ძირითადად, სიმპათიით მოიხსენიებენ ირაკლი ალასანიას, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ მხოლოდ ნაცრისფერობისა და უსახურობისათვის — ამ ფონზე ხომ განსაკუთრებით აყვავდება ჩვენი შესაძლებლობები (თვითირონია ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს).

ესენი ჯერ კოალიციურ მთავრობას ითხოვდნენ (თუმცა კი არც ძალიან ხმამაღლა), მერე კი დიალოგს (აქ ხმას აუწიეს). დიალოგის დაწყებისთანავე გამოჩნდა, რომ ეს წამოწყება სრულიად უპერსპექტივოა. მაგრამ უპერსპექტივობას ბევრად უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში, რადგან მთლიანად "მესამე" თვალსაზრისია უპერსპექტივო...

რამდენიმე ხნის წინათ კახა ბენდუქიძემ თქვა რაღაც ამგვარი: დროა მოვეშვათ კეკლუცობას და ვაღიაროთ, რომ შუალედური პოზიცია უბრალოდ არ არსებობს, რომ ეს მხოლოდ რეტროგრადობის თუ რევანშიზმის შერბილებული ვარიანტია. ამ აზრს სავსებით ვიზიარებ. ეს რევანშიზმი და რეტროგრადობა ძალიან მკაფიოდ მჟღავნდება ყველა დონეზე — მაგალითად, მეთოდებში.

"მესამეთა" საყვარელი ჟანრია პეტიციები და მიმართვები. მართალია, მკითხველთა ფართო და არაკომპიუტერიზებული მასებისათვის ამ ჟანრის შედევრები მიუწვდომელი რჩება, მაგრამ მათი თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია და, ამავე დროს, მგრძნობიარეა მიმდინარე პოლიტიკური ვითარების მიმართ: დაიწყო საკრამენტული მოწოდებებით ("ძირს ძალადობა!") და სრულდება ზომიერად აღშფოთებული წამოძახილით (აილაგმოს "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" აგრესია). იგივე შეიძლება ითქვას ადრესატზე, აქაც იგრძნობა ერთგვარი დავიწროება: მთელი ქართველი ერი, მთელი პოლიტიკური სპექტრი, საქართველოს პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრი და ა. შ.

მეთოდის ანაქრონიზმი და ამაოება თავისთავად ცხადია: მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანა ჯერ კიდევ "გრეხია", მაგრამ ხელისუფლების სახელზე საჯარო "დანოსის" დაწერა "მოსული პონტია".

მაგრამ თავისთავად ცხად მომენტებზე დიდხანს შეჩერება არ გვეკადრება. არის გაცილებით უფრო ღრმა საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ ეს "მესამე პოზიცია" თუ "ნეიტრალიტეტი" სრულიად უნაყოფოა. ამას ორი მიზეზი აქვს.

პირველზე უკვე მივანიშნეთ, როცა ვალაპარაკობდით იმაზე, თუ როგორ ირჩევს საპარლამენტო ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებათა კომისიის თავმჯდომარეს და რა კანდიდატურები ჰყავს ამისათვის. ახლახან გიგი თევზაძემაც გამოაქვეყნა ჟურნალ "ცხელ შოკოლადში" სტატია, სადაც უკვე რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენა ის, რასაც ყველანი ვგრძნობდით ინტუიციურად: საქართველოში მყოფ მეცნიერთა არსებული რაოდენობითა და ხარისხით მხოლოდ ერთი საშუალო ზომის (5000 სტუდენტი) უნივერსიტეტი თუ იარსებებს. მაშ რომელ რესურსზე უნდა დაამყაროს თავისი მომავალი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც "სადღაც შუაში" მოიაზრებს საკუთარ თავს?

მეორე მიზეზი პირველიდან გამომდინარეობს: გაუგებარია, საკუთრივ რას ემიჯნებიან, რისი გამორიცხვა სურთ "მესამე" პოზიციაზე მდგომთ. თავის დროზე ქრისტიანებმა სასტიკად დაგმეს რომის იმპერატორი დიოკლეტიანე, მაგრამ როცა თვითონ მოუხდათ ვითარების კონტროლი და მართვა, სწორედ დიოკლეტიანეს მიერ შექმნილი ინსტიტუციებით ისარგებლეს და საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ამ ინსტრუმენტს. ქრისტიანებს ამისათვის რესურსი აღმოაჩნდათ. ჩვენ?

თუ ვემიჯნებით რადიკალურ ოპოზიციას, ეს არავითარ პრობლემას არ იწვევს. მაგრამ თუ ამავე დროს ვემიჯნებით ხელისუფლებას, საკუთრივ რას ვემიჯნებით? მიხეილ სააკაშვილს? — ეს ხომ თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ არ უკავშირდება სისტემას, რომელიც შეიქმნა, მუშაობს და ავად თუ კარგად შედეგსაც იძლევა. სისტემის შემავსებელ ადამიანებს? — მაგრამ თუ ადამიანები შეიცვლება, მათ ადგილზე მოსულნიც იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან და იმავე მოქმედებების გაგრძელება მოუხდებათ.

სწორედ რესურსების სიმწირე და მიზნის ჩამოყალიბების უუნარობა განაპირობებს იმას, რომ "ნეიტრალურები" და "ზომიერები" დღეს საზოგადოების ყველაზე ადვილად უგულებელსაყოფ ნაწილს წარმოადგენენ, ხოლო ფრაზა — "არა, სააკაშვილი კი არ მომწონს, მაგრამ ეს გრეჩიხაც რა უბედურებაა" — არა მარტო მათი მიკუთვნების გარეგანი ნიშანია, არამედ სრულად და ადეკვატურად ასახავს მათ შინაარსსა და შესაძლებლობებს.

ამით საქმე არ დამთავრებულა.

თუმცა არსებობს "მესამეთა" კიდევ ერთი სახეობა: ისინი, ვინც ხელისუფლებას რეფორმების შენელებას თუ სულაც შეჩერებას საყვედურობს, და მათ რიცხვში, გარკვეული აზრით, მეც შევდივარ. პუშკინისა არ იყოს, მეც მიჭირს ჩემი ამქრის შესახებ რაიმე ობიექტური თვალსაზრისის გამოცხობა. მხოლოდ იმავეს გავიმეორებ, რაც უკვე ვთქვი: დასკვნის გამოსატანად საჭიროა ინფორმაციის სისრულე. ეს სისრულე კი არავის გააჩნია — ალბათ არც მათ, ვისზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული პოლიტიკის წარმართვა... ამიტომაც ჩვენ, ასე ვთქვათ, ნდობის კრედიტის ხარჯვის პროცესში ვართ და ველით, რა უფრო მალე ამოიწურება: ეს კრედიტი, თუ 9 აპრილის შემდეგ უზომოდ გაწელილი ინციდენტი.

სამწუხაროდ, როგორც უკვე მივანიშნე, დღეს იმედგაცრუება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ოდესმე: დღეს ის შეიძლება სრული და საბოლოო აღმოჩნდეს. არა, პოლიტიკური კრიზისი ჯერ არ არსებობს. არის სხვა, არანაკლები საფრთხე: როცა ქალაქიდან ჭუჭყის მოსაშორებლად ამდენი ხნის განმავლობაში მოკლული ბაყაყის იმედზე ვართ, მე გაცილებით უფრო ადვილად წარმოვიდგენ, რომ რეალური ძალაუფლების მქონე ბიჭუნებს ჟანრის კრიზისი სტანჯავთ, ვიდრე იმას, რომ სადღაც მაია წყნეთელის უბეში თუ ბაზალეთის ტბის ფსკერზე იმალება რჩეულ ვაჟკაცთა ლაშქარი, რომელიც სწრაფად და ადვილად ჩაანაცვლება ქანცგაწყვეტილებს.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
(ყოფილი "თბილისის წყალი")
უპრეცედენტო აქციას იწყებს

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** (ყოფილი "თბილისის წყალი") 2009 წლის 20 მაისიდან იწყებს კომუნალური მომსახურების სფეროში უპრეცედენტო აქციას - მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილი **დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად მასშტაბურ პროგრამას**.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს და დავალიანების მქონე მოსახლეობას სთავაზობს ორმაგად შეღავათიან რესტრუქტურიზაციას შემდეგი პირობებით:

- პროგრამის მონაწილე ყოველ მომხმარებელს (აბონენტს) კომპანია გაუკეთებს საჩუქარს - ჩამოაწერს დავალიანების საერთო თანხის 20%-ს.
- დავალიანების საერთო თანხის 20% ჩამოეწერება მხოლოდ იმ აბონენტებს, რომლებიც კომპანიას 2009 წლის 30 ივნისის ჩათვლით მიმართავენ განცხადებით.
- დავალიანების დარჩენილი თანხა (20 პროცენტის გამოკლებით) პროგრამის მონაწილეს გაუნაწილდება 3 წლის (36 თვე) განმავლობაში;
- დავალიანების რესტრუქტურიზაცის თაობაზე კომპანია ყოველ აბონენტთან გააფორმებს ინდივიდუალურ შეთანხმებას.
- პროგრამაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, ყოველთვიურად, დავალიანების ნაწილთან ერთად, მოხმარებული წყლის მიმდინარე გადასახადის სრულად დაფარვა.
- პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად პროგრამაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს (მოსახლეობა), რომელსაც მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით გარკვეული დავალიანება დაუგროვდა.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** მიმართავს მოსახლეობას, გამოიყენოს მის მიერ შეთავაზებული ხელსაყრელი წინადადება და ჩაერთოს შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში. თავის მხრივ, კომპანია სამომავლოდ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რათა მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობამ არ შეაფერხოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნული, გულისხმობს იმასაც, რომ ძველი დავალიანებების რესტრუქტურიზაცია და მათი ეტაპობრივად და დროულად გადახდა სავალდებულო ხდება როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ყველა სხვა კატეგორიის მომხმარებლისთვის.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" **(GWP)** რაიონულ ოფისებს, მიმდინარე წლის 30 ივნისის ჩათვლით, შემდეგ მისამართებზე:

1. მარჯანიშვილის გამზ. N 50 - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ოფისი;
2. ვ. ბარნოვის I ჩიხი, N10 - მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ოფისი;
3. ნუცუბიძის ქ. N 14? - ვაკე-საბურთალოს რაიონული ოფისი;
4. ჯავახეთის ქ. N22 - ისან-სამგორის რაიონული ოფისი;
5. მეტრო ახმეტელის მიმდ. ტერიტორია, მუხიანისკენ გადასახვევ გზაზე - გლდანი-ნაძალადევის რაიონული ოფისი.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP)
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

გაჩერება ნიშნავს უკუსვლას

პირველი გვერდიდან

საუკეთესო შესაძლებლობა, ალბათ, ეს არის იმისათვის, რომ მოხდეს საზოგადოებრივი მღელვარების ახალი ტალღის აგორება. ერთადერთი შანსი, რომ პროტესტისთვის გამოიყვანო 20-30 ათასი ადამიანი, არის ის, რომ ამ ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომა დაუშვას. არა მგონია, რომ მთავრობამ რაიმე ასეთი გააკეთოს. ამიტომ, ამის ერთადერთ შანსად რჩება ბრალდება, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა.

- ანუ, თქვენი აზრით, ხელისუფლება არ უნდა წავიდეს საპალამენტო არჩევნების დანიშვნაზე?

- უბრალოდ, არანაირი აზრი ამას არ აქვს. ახლა რომ ცალსახა იყოს, ოპოზიციური პარტიები არჩევნების შედეგებს უპირობოდ მიიღებენ, კიდევ შეიძლებოდა ამაზე ფიქრი. საქართველოში მე სიტუაციის დაწყნარების მიზნით არჩევნების მოწყობის წინააღმდეგი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ ამას ჩვენ მივყავართ იმ ვითარებისკენ, რომელიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო სამხრეთ ამერიკაში. იქ ქუჩის პოლიტიკით და მიტინგებით, რომელიც გადაიზრდებოდა ხოლმე სამხედრო გადატრიალებაში, ხდებოდა ხელისუფლების ცვლილება. საქართველოს შემთხვევაში ჩვენ მივდივართ "სოციოლოგიური სახელმწიფოსკენ" ანუ იმ ვითარებამდე, როდესაც ის პარტიაა კონკრეტულ მომენტში ლეგიტიმური მმართველი, რომელსაც კონკრეტულ მომენტში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი უჭერს მხარს. ეს დაახლოებით იგივეა, ბუშის რეიტინგი რომ ჩამოვიდა 40 პროცენტზე, მაშინ გამოვარდნილიყო ვინმე დემოკრატიული პარტიის წევრი და ეთქვა, ბუში დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს. სხვათა შორის, სტატიებიც იწერება ასეთი საქართველოში, რომლებშიც ხელისუფლების ლეგიტიმურობას და მხარდაჭერას ურევენ ერთმანეთში. ამბობენ, რომ საკაშვილი იმიტომ არ არის ლეგიტიმური, რომ ამ კონკრეტულ მომენტში მე გავზომე და მას 42-43 პროცენტი უჭერსო მხარს. პროფესიონალებისთვის სასაცილოა, როცა ლეგიტიმაციას და მხარდაჭერას, ასევე, როდესაც სოციოლოგიური გამოკითხვის და არჩევნების შედეგებს ურევენ ერთმანეთში, მაგრამ პოლიტიკურად და საზოგადოებრივი აზრის შექმნის მხრივ ეს სახიფათოცაა. მე საერთოდ არ მგონია, რომ სერიოზული საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების გარეშე ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს. კონსტიტუცია თუ მნიშვნელოვნად შეიცვლება და სახელმწიფოს ტიპის შეცვლა მოხდება, მაშინ სხვა საკითხია.

- საუბარი იყო სწორედ იმაზე, რომ უნდა განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილებები.

- კოსტიტუცია ვერ შეიცვლება შემოდგომამდე. ან, თუ შემოდგომამდე შეიცვალა, მივიღებთ ისეთ კონსტიტუციას, რომელიც ცოტა ხანში ისევ შეიცვლება. კონსტიტუციის შეცვლას დრო სჭირდება.

- პრეზიდენტმა ოპოზიციას შესთავაზა ადგილობრივ არჩევნებში მოესინჯათ ძალები. ადგილობრივი არჩევნები შეიძლება იქცეს სიტუაციის განმუხტვის საფუძვლად?

- მართალი გითხრათ, მე მიკვირს, რატომ არ იყენებს ოპოზიცია ამ შანსს და არ იწყებს ადგილობრივი არჩევნების მიმართულებით მუშაობას, თუნდაც იგივე მოთხოვნებით, რომლებიც საარჩევნო სისტემის მოწესრიგებას და ადმინისტრირებას ეხება. ეს ხომ იდეალური შანსი იქნებოდა მათთვის, ეჩვენებინათ როგორც საქართველოს მოსახლეობისათვის, ასევე მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის, რომ: ა) ეს ხელისუფლება არ ასრულებს პირობას - იმ შემთხვევაში, თუკი ამ მიმართულებით მოლაპარაკება ჩიხში შევიდოდა; ან ბ) რომ ისინი რეალური მხარდაჭერით სარგებლობენ და იგებენ არჩევნებს. წესით, ორივე ეს შედეგი არასაპარლამენტო ოპოზიციას წარმატებულად შეეძლო გამოეყენებინა პოლიტიკურ ბრძოლაში.

- არის დღეს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი?

- არა მგონია, რომ დღეს პოლიტიკური კრიზისი იყოს ქვეყანაში. სხვა საკითხია, რომ ოპოზიციური პოლიტიკური დისკურსის ღერძია ამაზე ლაპარაკი. მე მესმის, რომ ოპოზიციას უნდა, პოლიტიკური კრიზისი არსებობდეს, მაგრამ არსებული ვითარება სხვაზე მეტყველებს. რადიკალური ოპოზიციის მხარდამჭერების რაოდენობა ყოველდღიურად იკლებს. პოლიტიკური კრიზისის დროს პირიქით - მატულობს. ის, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი ევროკავშირიდან ამას უწოდებს პოლიტიკურ კრიზისს, გამომდინარეობს არა არსებული ვითარების ადეკვატური აღქმიდან, არამედ მათი მსოფლმხედველობიდან და მათი იმ შეხედულებებიდან, რომლებიც ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ამას მე უფრო ევროპულ მემარცხენე-ანარქისტულ იდეებს მივაწერდი და არა სიტუაციის რეალურ ხედვას. ამას წინათ, მგონი, სემნებიმ თქვა, რომ, რადგან ოპოზიციამ კოსტავას ქუჩა გახსნა, ხელისუფლებამაც უნდა დათმოს რაღაც, თუმცა ქუჩის გახსნა არ ყოფილა დათმობა ხელისუფლებისთვის. თავად რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებსაც არ უთქვამთ ეს. ოპოზიციამ თქვა, რომ ქუჩა ხალხს გაუხსნა, რათა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას პრობლემა არ შექმნოდა.

- სიტუაციის გამწვავებას არ ელით?

- იმისათვის, რომ სერიოზული დესტაბილიზაცია მოხდეს, საჭიროა საკმაოდ დიდი რაოდენობით მობილიზებული და მოტივირებული ხალხი. თუმცა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შესაძლოა, მუხროვანის აჯანყებაც წარმატებით დასრულებულიყო. ჩვენ ძალიან დიდი რისკის ქვეშ მყოფი ქვეყანა ვართ, როცა გვაქვს ომი რუსეთთან, რომლის აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მიერ თითქოს ხდება და თითქოს არც ხდება. სხვა თუ არაფერი, კიდევ შეიძლება რაიმე მცდელობა განახორციელოს რუსეთმა.

პრობლემა ისიცაა, რომ საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს არ აქვს იდენტურობის განცდა ქართულ სახელმწიფოსთან და საქართველოსთან, როგორც ქვეყანასთან. მათ თავისებურად უყვართ საქართველო, მაგრამ ეს სიყვარული არის იმ ტიპის სოლიდარობა, რომელიც შუა საუკუნეებში დიდგვაროვნებს, ფეოდალებს ქონდათ სახელმწიფოს მიმართ და რომელიც განსხვავდება ახალ დროში შექმნილი ეროვნული იდენტობის განცდისგან. როდესაც თანამედროვე ადამიანი კითხულობს შუა საუკუნეების ისტორიას, უკვირს, რა ადვილია სახელმწიფოს ღალატი - წავიდა ადამიანი, ვიღაცას მოელაპარაკა და მტრები წამოიყვანა სამშობლოში. ნაციონალური იდენტობის თვალთახედვით, ეს მიუღებელია. თუმცა, მაშინ არ არსებობდა ნაციონალური იდენტობის გრძნობა, არსებობდა სოლიდარობის გრძნობა, რომელიც ადვილად ირღვეოდა და იცვლებოდა სხვასთან სოლიდარობის გაჩენის გზით. დღესაც ძალიან ბევრს აქვს არა ქართული იდენტობის, არამედ ქართული სოლიდარობის გრძნობა. ჩვენ საბოლოო ჯამში ის კი არ გვემუქრება, რომ რუსეთი რაღაცას გვიზამს. ჩვენი საზოგადოება იმყოფება გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოსთან სოლიდარობის გრძნობიდან სახელმწიფოსთან იდენტობის გაცნობიერებისაკენ. სანამ არ ჩამოვყალიბდებით და სანამ ყველა საქართველოს მოქალაქის თავში ეს იდენტობა არ იქნება ძლიერი, ამ სოლიდარობის ფონზე ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც გრძნობს, მაგალითად, უფრო ძლიერ და მიმზიდველ სოლიდარობას საბჭოთა კავშირთან და რუსეთთან. ასეთი ტიპის სოლიდარობა მას განაწყობს სწორედ ისეთი მოქმედებისკენ, რაც ნაციონალური იდენტობის თვალსაზრისით არის ღალატი.

- არის თუ არა საქართველოში გადასადგმელი ნაბიჯები დემოკრატიისკენ?

- რა თქმა უნდა, არის. თუმცა, ძალიან პრობლემურია დემოკრატიისკენ დიდი ნაბიჯების გადადგმა. მე იმას კი არ ვამბობ, რომ არ უნდა გადაიდგას ამ მიმართულებით ნაბიჯები. უნდა გადაიდგას და ულაპარაკოდ, მაგრამ თანამედროვე დემოკრატიებს აქვთ პრობლემები და ეს პრობლემები თანდათან ამოდის ზედაპირზე. არსებობს ბევრი დამადასტურებელი საბუთი, რომ გაუნათლებელ საზოგადოებაში დემოკრატია ვერ აღწევს ლიბერალურ შედეგებს. მაშინ იღებ ჰამასს, რომელიც მოდის არჩევნების გზით ხელისუფლებაში.

- ჩვენ გაუნათლებლობის ზღვარზე ვართ?

- რა თქმა უნდა. ჩვენთან წიგნიერების დონე არის ძალიან დაბალი - ეს სკოლის მოსწავლეებს შორის ჩატარებულმა საერთაშორისო კვლევამაც გვაჩვენა. თუმცა წინა, ადგილობრივი რესურსებით ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი წიგნიერება იზრდება, თუმცა ჯერ კიდევ მცირეა.

- ჩვენთვის დემოკრატია ადრეა?

- ჩვენთვის დემოკრატია ადრე არ არის, მაგრამ ჩვენთვის დემოკრატია რთულია. არსებობს თეორია, რომ მშპ-ს რაღაც დონეზე ქვემოთ დემოკრატია არ აღწევს თავის მიზნებს - მაგალითად, სოციალური თანასწორობის შესაძლებლობას, გამოხატვის თავისუფლებას. მე ვფიქრობ, რომ უფრო რეალური ინდიკატორი განათლებულობა და წიგნიერებაა, ანუ განათლებულობის რაღაც ზღვარს ქვემოთ დემოკრატია არ გამოდის. უფრო სწორად - დემოკრატიაც და მოლაპარაკებაც შეიძლება ყველას შორის. საქმე ისაა, ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ვის შორის იმართება მოლაპარაკება. კანტი ამბობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება შესაძლებელია ეშმაკებს შორისაც. რა თქმა უნდა, დემოკრატია აუცილებელია, თუმცა პროცედურულ დემოკრატიაზე უფრო მნიშვნელოვანია ლიბერალური ღირებულებები, რაც ჩვენს საზოგადოებაში ნაკლებად არის გაზიარებული და მიღებული, ვიდრე, თუნდაც, ტოტალიტარული წარმოდგენები და მსოფლაღქმები.

- ანუ მთავრობამ უნდა აღზარდოს ხალხი და არა პირიქით - ხალხმა აირჩიოს თავისი მთავრობა?

- სხვათა შორის, ეს სერიოზული პრობლემაა და ერთგვარი დილემაცაა. ამაზე თეორიული პასუხები არ არსებობს. პასუხი ყოველთვის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარეობს და ყოველთვის არსებობენ კონკრეტული მოგებულები და წაგებულები. შეიძლება თქვა, რომ, რადგან საზოგადოებაში განათლების დონე დაბალია, მოდით, ძალით ჩავდოთ ეს ლიბერალური იდეები მათ თავებში. ეს რაღაც დონეზე გამოდის, რაღაც დონეზე - აღარ გამოდის. ხანდახან იღებ უარეს შედეგს.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოში ამის მცდელობა იყო და საბოლოოდ ხელისუფლება, რომელსაც შემოულაწუნეს, წავიდა ხალხის ნებაზე და თავად თქვა უარი გარკვეულ ღირებულებებზე?

- იყო ასეთი მცდელობებიც, იყო შემოლაწუნების ეფექტიც. ეს შემოლაწუნების ეფექტი მაინც იქ იყო, სადაც ამ ლიბერალური ღირებულებების ახსნა და დანერგვა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაგრამ ლიბერალური რეფორმების დადებითი ხასიათი არის ის, რომ, თუ მას კარგად ხსნი, ეს ესმის თითქმის ყველას, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც საკუთარ თავს წარმატებულად მხოლოდ კორუფციულ სისტემებში ხედავენ. ნებისმიერ ლიბერალურ რეფორმაში არის სიკეთე და გზა ბედნიერებისაკენ. მაგრამ ახსნაში იყო პრობლემები, ზოგ შემთხვევაში - განხორციელებაშიც. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში გაკეთდა რაიმე ისეთი, რაც არ გაკეთებულა, მაგალითად, ჩილეში ან დიდ ბრიტანეთში.

- ჩილეში დიქტატორმა გააკეთა...

- ჩილეში დიქტატორმა გააკეთა, მაგრამ დიდ ბრიტანეთში - არა. მე ვლაპარაკობ იმ რეფორმებზე, რომელიც ეკონომიკაში გაკეთდა, რის შედეგადაც ჩილე წარმატებული ქვეყანაა.

- ჩვენ ვსაუბრობდით დემოკრატიაზე...

- დემოკრატია ადრე არ არის. დემოკრატია ნებისმიერ საზოგადოებაში გაიძულებს, რომ დიდხანს უხსნა რეფორმები თანამოქალაქეებს, რათა მათი მხარდაჭერა მიიღო. ჩვენი საზოგადოების ზემოთ აღწერილი მდგომარეობიდან გამომდინარე კი, უფრო დიდხანს და ინტენსიურად უნდა უხსნა, ვიდრე ამას, მაგალითად, ტეტჩერის მთავრობა აკეთებდა. უბრალოდ, საჭიროა განსახორციელებელი რეფორმების სათანადო ახსნა. აქაც ხაზს გავუსვამ, რომ საზოგადოებას უნდა აუხსნა და არა პოლიტიკურად დაპირისპირებული ძალის ისტებლიშმენტს. ამ უკანასკნელისთვის ახსნას, უმეტეს შემთხვევებში, აზრი არ აქვს. ახსნის შემდეგ კი უმრავლესობა გააკეთებს სწორ არჩევანს. ძალიან კლასიკური მაგალითია, როგორ დაკარგა დემოკრატიის პირობებში მაფიამ გავლენა, მაგალითად, პალერმოში - როცა ხალხმა დაინახა, რომ მაფიის გარეშე მეტი შემოსავალი ექნებოდა, ვიდრე მაფიასთან ერთად. დემოკრატია ყოველთვის გამოდის, უბრალოდ, მეტი დროის დახარჯვაა საჭირო, რომ გვქონდეს ლიბერალიზმიც და დემოკრატიაც.

- ისევ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას მინდა დავუბრუნდე. დღეს ძალიან აქტუალურია სიტყვა - ადეკვატურობა. თქვენი აზრით, დღეს ხელისუფლება ადეკვატურია თუ არა?

- მე მგონია, რომ ადეკვატურია. არაადეკვატური იქნებოდა, მაგალითად, ხელისუფლებამ რომ ისაუბროს ცხინვალის აღებაზე, ან - არარეალურ საბიუჯეტო პროექტებზე. ხელისუფლების ოპონენტები ძირითადად ლაპარაკობენ დიალოგში მონაწილეობის არაადეკვატურობაზე. გამომდინარე იქიდან, მე რაც ვიცი ამ დიალოგის შესახებ, როგორც ხელისუფლების, ასევე რადიკალური ოპოზიციის მხრიდან, საერთოდ არ მგონია, რომ ეს დიალოგი არაადეკვატურია. ხელისუფლება სთავაზობს ოპოზიციას იმას, რაც მას შეუძლია შესთავაზოს და რაც, მისი აზრით, არის ვითარების შესაბამისი; რადიკალური ოპოზიცია კი სხვადასხვა ხმით პასუხობს - ზოგი პასუხი რადიკალურია, ზოგი - ნაკლებად. არაადეკვატურობას ვერ ვხედავ, მაგრამ ერთადერთი, რაც ჩემს გაკვირვებას იწვევს, არის ის, თუ რატომ არ იმართება პარლამენტის სხდომები. მე ამის ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავ.

- საკანონმდებლო საქმიანობა პარალიზებულია, ქვეყნის არასტაბილური იმიჯის განცდა არის, ეკონომიკა გაჩერებულია, რამაც, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტ პრობლემებამდე მიგვიყვანოს. აქედან და არა მაინცდამაინც საკნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს თუ არა ხელისუფლება უფრო აქტიური თავის შეთავაზებებში?

- მე ვფიქრობ, რომ თავის ვალდებულებას მთავრობა უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს და გავიდეს მინიმალური აღსრულების იქით. მაგალითად, პარლამენტი უნდა მუშაობდეს. უბრალოდ, ქვეყანა არ უნდა გაჩერდეს, არც აღმასრულებელი და არც საკანონმდებლო მიმართულებით. თანამედროვე სამყაროში გაჩერება ნიშნავს უკან წასვლას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ტენდენცია კლებულობს

ყოველწლიურად 300 ათასი ჰექტარი მიწა დაუმუშავებელი რჩება

მანანა ვარდიაშვილი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს საქართველოში 600 000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი დამუშავდება და გასულ წელთან შედარებით 15 პროცენტით მეტი თავთავიანი კულტურები, 20 პროცენტით მეტი სიმინდი და 25 პროცენტით მეტი მზესუმზირა დაითესება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესვეურებთან შედარებით ნაკლებად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ის ადამიანები, რომლებიც მიწაზე უშუალოდ მუშაობენ. 55 წლის ჯუმბერ ბლიაძე ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში ცხოვრობს და ოჯახს ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანით ინახავს. ამბობს, რომ ბოსტნეულის, ბაღჩეულისა და მარცვლეულის მოყვანა ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო ჭირს. ჯუმბერ ბლიაძე: კიტრი, პომიდორი და კომბოსტო მომყავს. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხორბალს ან მზესუმზირას ვთესავ. წელსაც გასული წლების მსგავსი პრობლემები გვაქვს: ძვირია შხამქიმიკატები და არც ტექნიკა გვაქვს საკმარისი ოდენობით. ტრაქტორი ან კომბაინი რომ დაიქირაო, რიგში უნდა ჩადგე. შარშან ხორბლის აღების დროს ჩემი რიგი რომ მოვიდა, კომბაინი გაფუჭდა და მის გაკეთებას რამდენიმე დღე დასჭირდა. ამასობაში ჩემი მოყვანილი ხორბლის ნახევარი მიწაში დარჩა. აიღებ იმ ტანჯვა-წვალებით მოყვანილ ხორბალს და მერე მისი გაყიდვა ჭირს. წელს, კიდევ კარგი, ხორბალი არ დავთესე. მეზობლებმა დათესეს და ამ ნათესებს ახლა რაღაც ჭია გაუჩნდა, რომელმაც ნათესის 60 პროცენტი გაანადგურა. თუმცა, უკეთეს დღეში არც მე ვარ. ჯერ იყო და, ძლიერმა ქარმა დაგვაზარალა. ამას კახეთისთვის უჩვეულო ყინვაც დაემატა და სათბურიდან გატანილი ნარგავები მოიყინა. პრეზიდენტის დაპირების მიუხედავად, ჩვენს ნათესებს არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ აზღვევს. გარდა ამისა, როგორც კი ხვნა-თესვის პერიოდი იწყება, საწვავი მომენტალურად ძვირდება. ახლა კახეთში დიზელის საწვავის ფასი, თბილისთან შედარებით, გაცილებით მაღალია და ასე იქნება შემოდგომის ბოლომდე. რა გითხრათ, წლიდან წლამდე თავს ვირჩენთ, მაგრამ ოჯახს არაფერი ემატება."

ჯუმბერ ბლიაძე ამბობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, მომავალში ისიც, სხვების მსგავსად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანას თავს დაანებებს და ვაჭრობას დაიწყებს. ასეთი არჩევანი უამრავი გლეხისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი გზაა, რის გამოც საქართველო თანდათან აგრარული ქვეყნის სტატუსს კარგავს. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოში 942 მილიონ 65 ათასი აშშ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქტი შეამოვიდა, ექსპორტზე კი მხოლოდ 250 მილიონ 508 ათასი აშშ დოლარის პროდუქტი გავიდა. გარდა ამისა, უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად მცირდება ერთ სულზე წარმოებული უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების რაოდენობაც. მაგალითად, 2005 წლიდან 2007 წლამდე ხორბლის წარმოება ერთ სულზე 44-დან 17 კგ-მდე, სიმინდის 98 კგ-დან 68 კგ-მდე, ბოსტნეულის - 102-დან 43-მდე, ხოლო კარტოფილის 101-დან 52-მდე შემცირდა. სტატისტიკური მონაცემებით, 1990 წლიდან 2007 წლამდე ნათესი ფართობები 700 000-დან 297 000 ჰექტრამდე შემცირდა. მარცვლეული კულტურების, მზესუმზირისა და ბაღჩეულის ნათესები კი განახევრდა.

ბევრი ექსპერტის აზრით, მას შემდეგ, რაც იმპორტული აგრარული პროდუქტი საქართველოს საბაჟოზე ნულოვანი განაკვეთით შემოდის, საქართველოს სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო ნაკლებმომგებიანი გახდა და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაც თანდათან უფრო მცირდება.

ქართული აგრარული პროდუქტის დაბალ ხარისხსა და კონკურენტუუნარობაზე ყურადღება საქართველოს პრეზიდენტმაც გაამახვილა. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირების მთავარი მიზეზი დაბალი ხარისხი და სოფლის მეურნეობის სფეროში ინდუსტრული ბაზის არარსებობაა: მაშინ, როცა ადგილობრივი მოხმარება 120 000 ტონაა, 145 000 ტონა ვაშლი მოგვყავს და 20 000 ტონა კიდევ იმპორტის მეშვეობით შემოგვაქვს. მარტივი არითმეტიკით გამოდის, რომ პრაქტიკულად 45 000 ტონა ვაშლი მთლიანად იკარგება. 80 000 ტონა მანდარინს ვაწარმოებთ და მისი დიდი ნაწილი გვილპება. 480 000 ტონა კარტოფილი მოგვყავს, მაშინ, როცა შიდა მოხმარება 380 000 ტონაა და, მიუხედავად ამისა, 50 000 ტონა კარტოფილი მაინც იმპორტის მეშვეობით სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს. 110 000 ტონა ყურძენს ვაწარმოებთ, ქვეყნის შიგნით 70 000 ტონა მოიხმარება და 5 000 ტონა იმპორტით შემოდის - რეალურად 45 000 ტონა ყურძენი გვილპება და გვიფუჭდება. ამის მთავარი მიზეზი სოფლის მეურნეობის უკიდურესად ჩამორჩენილი ბაზაა. ადგილობრივი პროდუქტი დაბალი ხარისხისაა. გარდა ამისა, ჩვენ არ გვაქვს გადატანის და შენახვის საშუალება. ჩვენ უნდა შევძლოთ ინვესტიციების მოზიდვითა და იაფი კრედიტის პროგრამის განხორციელების მეშვეობით სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების შენარჩუნება და წარმოების სტიმულირება. აქცენტი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიული ბაზის შექმნაზე უნდა გაკეთდეს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებაზე ვსაუბრობთ, მაგრამ ამ ეტაპზე და ამდენი წლის შემდეგ ისიც კი არა გვაქვს განსაზღვრული, ჩვენი მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქტი როგორ უნდა შევინახოთ. ამიტომ, ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

სტატისტიკური მონაცემებით, თუ სოფლის მეურნეობაზე დასაქმებულთა 55 პროცენტი მოდის (თვითდასაქმებულთა წყალობით), ამ სფეროში შექმნილი მშპ 12 პროცენტამდე აღწევს და მასზე საბანკო სექტორის მხრიდან გაცემული კრედიტების 2 პროცენტზე ნაკლები მოდის - მაღალი რისკების გამო აგრარულ სექტორს საბანკო სისტემა არ სწყალობს. ამ სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც ნაკლებად შედის.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ქვეყნის მშპ-ს ფორმირება ძირითადად სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ხარჯზე ხდებოდა. თუმცა, ბოლო წლებში მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ვაჭრობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში წარმოებული მშპ-ს ზრდის გამო სულ უფრო მცირდება. თუ 1994 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მშპ-ში 46 პროცენტს შეადგენდა, 1998 წელს ის 26,2, ხოლო 2007 წელს 12-მდე შემცირდა. მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირების პარალელურად, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების შემოსავლები და კვების პროდუქტებით ქვეყნის თვითუზრუნველყოფაც მცირდება. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია ზოგადად მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში ვენახის წილად 60 ათასი ჰექტარი მოდის. ხილს - 50, ჩაის - 25,1, ციტრუსებს 12 ათასი ჰექტარი უკავია. სტატისტიკური მონაცემებით, საბჭოთა პერიოდში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი დაახლოებით 100 ათასი ჰექტარითაა შემცირებული. ექსპერტთა მოსაზრებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას წვრილი მეურნეობების მაღალი ხვედრითი წილი და იმ მეურნეობათა მცირე რიცხვი აფერხებს, რომლებიც მსხვილ ნაკვეთებს ფლობენ. გასულ წელს 726 021 მეურნეობიდან 10 ჰექტარზე მეტ მიწის ნაკვეთს მხოლოდ 5 030 მეურნეობა, ანუ მეურნეობათა საერთო რიცხვის მხოლოდ 7 პროცენტი ფლობდა.

ბოლო წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები სულ უფრო ნაკლებად მოჰყავთ, რაც წარმოებაზე გაწეული მაღალი დანახარჯებით და, უცხოურ პროდუქციასთან შედარებით, მისი არაკონკურენტუნარიანობითაა გამოწვეული. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შემცირების გამო, საკუთრებაში გადაცემული და დაუმუშავებლად დატოვებული მიწის ფართობი ყოველწლიურად იზრდება. ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული დაუმუშავებელი რჩება. არაოფიციალური მონაცემებით, დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთები გაცილებით მეტია და ზოგ რაიონში სავარგულების 50 პროცენტსაც კი აღემატება.

სტატისტიკური მონაცემებით, სოფლად მცხოვრები ოჯახების შემოსავლები ზრდის დინამიკით, ფაქტობრივად, არ ხასიათდება და მასში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს სხვა სახის შემოსავლები ბევრად სჭარბობს. ძირითად სასურსათო პროდუქტებზე ფასები თითქმის 50-100 პროცენტის ფარგლებში გაიზარდა. ასეთი ტენდენციის დროს კვების პროდუქტების წარმოების შემცირება და იმპორტის ზრდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არაადეკვატურობაზე მიუთითებს. ადგილობრივი მეწარმის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ხელს უშლიდა ლარის უპრეცედენტო გამყარებაც, რადგან ლარის გამყარებამ იმპორტს დამატებითი სტიმული მისცა. ყოველივე ამის შედეგად, საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში საქართველოს უარყოფითი სალდო სულ უფრო და უფრო იზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა სუბსიდირებას უწევს იმ ქვეყნების ეკონომიკას, საიდანაც სამომხმარებლო საქონლის იმპორტი ხდება.

თიბისი ბანკმა სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის სერტიფიკატი მიიღო

დოიჩე ბანკმა (Deutsche Bank) თიბისი ბანკი, სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით, საუკეთესო ბანკად დაასახელა და "2008 USD STP Excellence Award" სერტიფიკატი გადასცა.

ხარისხის სერტიფიკატის მინიჭება ხდება წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით და ითვალისწინებს, როგორც სავალუტო დავალებების ეფექტურ განხორციელებას, ასევე შესრულებული გადარიცხვების რაოდენობას.

2008 წლის მონაცემების შეფასების მიხედვით, თიბისი ბანკს ხარისხის უმაღლესი ინდექსი – 99.94% მიენიჭა.

უკვე მესამე წელია თიბისი ბანკი ჯილდოვდება სავალუტო გადარიცხვების მაღალი ხარისხის სერტიფიკატით, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამ ხნის განმავლობაში, ბანკი სტაბილურად ინარჩუნებს მომსახურების მაღალ დონეს.

STP (Streight Through Payments) წარმოადგენს სავალუტო დავალებას, რომელიც ჩამოყალიბებულია სვიფტის მოთხოვნების შესაბამისად და სრულდება ავტომატურად, კორესპონდენტი ბანკის მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

დოიჩე ბანკი, რომელიც ასრულებს კორესპონდენტი ბანკის ფუნქციას, ახდენს თიბისი ბანკის საგადასახადო დავალებების კლირინგს.

თიბისი ბანკისთვის მინიჭებული ხარისხის უმაღლესი ჯილდო ადასტურებს, რომ ბანკი სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მოთხოვნებს და მომავალშიც განაპირობებს ორ ბანკს შორის წარმატებულ ურთიერთ თანამშრომლობას.

ნინო ბურჯანაძის სარჩელი პრეზიდენტის წინააღმდეგ

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას დღეს გეგმავს.

როგორც "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ცენტრალურ ოფისში აცხადებენ, სააკაშვილის წინააღმდეგ სარჩელი უკვე მზად არის, რომელსაც ადვოკატები დღეს საქალაქო სასამართლოში შეიტანენ. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე "პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის" მიხეილ სააკაშვილს ჯერჯერობით ქართულ სასამართლოში უჩივის. როგორც თავად აცხადებს, შემდგომი ინსტანცია სტრასბურგის სასამართლო იქნება. "ცილისწამებისთვის პრეზიდენტს მოუწევს ან დაამტკიცოს აბსურდული ბრალდებები, ან პასუხი აგოს ამ ყველაფრისთვის. სარჩელი შემაქვს ქართულ სასამართლოში, თუმცა იმედი არ მაქვს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას შეძლებს, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, სტასბურგის სასამართლოს მივმართავ", - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

პირველი

ბრალდებულის შიმშილობა

სახელმწიფო გადატრიალებში ბრალდებული, ეროვნული გვარდიის ყოფილი მეთაური კობა კობალაძე უკვე მე-18 დღეა შიმშილობს. კობალაძის ადვოკატის გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, მიუხედავად ამისა, კობალაძე თავს საკმაოდ მხნედ გრძნობს. მისივე თქმით, დაკავებამდე კობალაძე 165 კილოგრამს იწონიდა, ამის შემდეგ მან 20 კგ დაკლო.

ადვოკატის განცხადებით, კობალაძე წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს და პროტესტს შიმშილით გამოხატავს. თბილისის საქალაქო სასამართლომ კობალაძეს 7 მაისს აღმკვეთ ღონისძიებად ორითვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე აცხადებს, რომ მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებული საქმის გამო სულ 33 ადამიანია დაკავებული. ერთი ადამიანი სპეცოპერაციის დროს დაიღუპა, ერთი თავდებითაა გათავისუფლებული. 32 ადამიანი კი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. ამასთან 12 სამოქალაქო პირია 20 კი სამხედრო.

ჯი-ეიჩ-ენი

ბათუმის ციხე დაიხურება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის დიმიტრი შაშკინის ინფორმაციით, ბათუმის ციხის დახურვა იგეგმება. როგორც დიმიტრი შაშკინი განმარტავს, ბათუმის ციხის დახურვა განპირობებული იქნება იმით, რომ ლაითურში, რომელიც გურიაში მდებარეობს, უკვე დაწყებულია ახალი ციხის მშენებლობა. მისივე თქმით, ციხის მშენებლობა ეკონომიკური კრიზისის გამო შეჩერდა, რადგან ამ პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა მინიმუმ 30 მილიონი. "ლაითურის ციხის მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოხდება ბათუმის ციხის ლიკვიდაცია და ასევე დასავლეთ საქართველოში მდებარე სხვა ციხეების ლიკვიდაციაც", - აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

ჯი-ეიჩ-ენი

"ნაფიცი მსაჯულის" პრეზენტაცია

სასტუმრო ამბასადორში" პროექტ "ნაფიცი მსაჯულის" პრეზენტაცია გაიმართა. ეს პირველი გლობალური პროექტია, რომელშიც პარიტეტულ საწყისებზე ჩაერთვება საქართველოს შვიდი უმაღლესი სასწავლებელი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის სამართლის სკოლა, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში შეირჩევიან მონაწილეები, რომელთაც ადვოკატთა უნარ-ჩვევებში ტრენინგები ჩაუტარდებათ და გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

პროექტის მიზანია სტუდენტთა ინფორმირება ნაფიც მსაჯულთა სისტემის შესახებ; სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება; სტუდენტებისთვის სასამართლო უნარ-ჩვევების ათვისებაში დახმარება; სტუდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა; სტუდენტების აქტიურ ჩართვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია თბილისის მერია, პარტნიორი - საქართველოს უზენაესი სასამართლო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობები.

მედიანიუსი

ცვლილებები პატიმრების და ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისთვის

ქართული კანონმდენლობა მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის ემზადება, რასაც უკვე უწოდებენ "რევოლუციურს" და "ინოვაციურს". სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო არის ავტორი იმ ცვლილებებისა, რომელიც პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონში და სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში უნდა შევიდეს. ცვლილებებისა და დამატებების პროექტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე უკვე განიხილეს.

იმ შემთხვევაში თუ პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი საბოლოოდ დამტკიცდება, სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ წელიწადში ორჯერ ხანმოკლე გასვლის უფლება იმ მსჯავრდებულებს მიეცემათ, რომელთაც განსაზღვრული აქვთ სასჯელის მოხდა საერთო ან მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში და მათ მიმართ არ მოქმედებს დისპიცლინური ან ადმინისტრაციული პატიმრობა. არასრულწლოვნებს, ფეხმძიმე ქალებს ან სამ წლამდე ასაკის ბავშვების დედებს კი სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ ხანმოკლე დროით გასვლა წელიწადში სამჯერ შეეძლებათ.

კანონპროექტის თანახმად, ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა ხუთ დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, მსჯავრდებულს ციხის დატოვების უფლება მხოლოდ მას შემდეგ მიეცემა, როცა მას, ფაქტობრივად, მოხდილი ექნება ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი, მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი.

არასრულწლოვანი მსჯავრდებული ამ უფლებით ისარგებლებს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის ერთი მესამედის, მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის ვადის ერთი მეორედის, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის ორი მესამედის გასვლის შემდეგ.

ამასთან, გათვალისწინებული იქნება პატიმრის პიროვნება, ქცევა, ოჯახური მდგომარეობა და ის გარემოებები, რომლებიც მას დადებითად ან უარყოფითად დაახასიათებს.

პატიმრობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტი პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე ცხრაკაციანი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობასაც ითვალისწინებს. კომისიის წევრებიდან ექვსი წევრი სამინისტროს შემადგენლობიდან აირჩევა, თითო წევრის კანდიდატურას კი საპარლამენტო უმრავლესობა, უმცირესობა და არასამთავრობო სექტორი დაასახელებენ. აქამდე ეს კომისია მხოლოდ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებისგან კომპლექტდებოდა, რაც მის საქმიანობას ნაკლებად ეფექტურს ხდიდა.

სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების კანონპროექტით კი მოსალოდნელია საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების გაზრა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია, სახალხო დამცველთაგან სპეციალური პრევენციული ჯგუფის შექმნა, რომელიც მხოლოდ სახალხო დამცველის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. ჯგუფის წევრი არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

სახალხო დამცველს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებსა და დაკავებულებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებსა და მსჯავრდებულებს შორის შეხვედრა კონფიდენციალური ხასიათის იქნება.

სახალხო დამცველის აზრით, კანონპროექტში, ამ ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით, ხარჯების გამოყოფა არ არის გათვალისწინებული, არადა მისი სრულყოფილი მუშაობისთვის უსათუოდ იქნება გარკვეული თანხა საჭირო. ამიტომ, სოზარ სუბარი ითხოვს, ეს საკითხი კანონპროექტის განხილვისას დარეგულირდეს.

ცვლილებათა პაკეტში გათვალისწინებულია სახალხო დამცველის ვალდებულება - წამების თავიდან აცილების მიზნით, ითანამშრომლოს გაერო-ს შესაბამის ორგანოებთან, ასევე, საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან.

ომბუდსმენის წარმომადგენლების მოთხოვნით, პრევენციული ჯგუფის წევრებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფოტო და ვიდეოგადაღების უფლებაც უნდა მიეცეთ, რასაც კანონპროექტი არ ითვალისწინებს. როგორც ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, მონიტორინგის დროს გამოვლენილი დარღვევები საჭიროებისამებრ სწორედ ფოტოზე ან ვიდეოზე უნდა აღიბეჭდოს და კონკრეტული ფაქტის დამამტკიცებელ დოკუმენტად იყოს გამოყენებული.

თუმცა, ომბუდსმენის აპარატის ამ მოსაზრებას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეწინააღმდეგება. მისი აზრით, ფოტო და ვიდეოგადაღების მექანიზმის ამოქმედება საფრთხის შემცველია, რადგან შესაძლოა, ეს დოკუმენტები არამიზნობრივად იქნას გამოყენებული. ამის გაკონტროლება კი რთული იქნება.

სამსახურში აღდგენა სასამართლოს ძალით

იურიდიული დახმარების სამსახურის ძალისხმევით, მოქალაქემ სამუშაო ადგილი შეინარჩუნა. შპს "ჯორჯიან მანგანეზის" თანამშრომელმა ბესიკ ლაბაძემ, რომელიც სამსახურიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის მოტივით გათავისუფლდა, საკუთარი უფლებების დაცვა სამართლებრივი გზით სცადა და დახმარებისთვის იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა. ბიუროს იურისტმა ელისო ბოგვერაძემ შესაბამისი სარჩელი მოამზადა, რომელიც ბესიკ ლაბაძემ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში შეიტანა.

როგორც აღმოჩნდა, ბესიკ ლაბაძე შპს "ჯორჯიან მანგანეზში" ლითონის შემგროვებლად მუშაობდა. სამუშაო დღის ბოლოს გადამუშავების უბანში შეგროვებული ლითონი მზა პროდუქციის საწყობის თანამშრომლებს გაჰქონდათ, სხვა შემთხვევაში ლითონი გადამუშავების უბანში რჩებოდა. ერთ-ერთი შემოწმებისას გადამუშავების უბანში გაუტანელი ლითონის ნარჩენი აღმოჩნდა. აღნიშნული ფაქტი საწარმომ ლითონის დატაცების მცდელობად მიიჩნია და ბესიკ ლაბაძე სამსახურიდან დაითხოვა.

იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის ელისო ბოგვერაძის მიერ მომზადებული სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა იმ გარემოებებს, რომ ლითონის გადატანის ვალდებულება არა მოსარჩელეს, არამედ მზა პროდუქციის საწყობს ეკისრებოდა. შესაბამისად, ადვოკატის მტკიცებით, ბესიკ ლაბაძის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას და პროდუქციის დატაცებას ადგილი არ ჰქონია. საბოლოოდ, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბესიკ ლაბაძე სამსახურში აღადგინა.

შეგახსენებთ, რომ იურიდიული დახმარების სამსახური, როგორც სახელმწიფოს ხარჯზე არსებული უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემა, 2007 წლის ივლისიდან ფუნქციონირებს. ამ ხნის განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურიში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატების, კონსულტანტებისა და სპეციალისტების მომსახურებით 15 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

საკუთარი ინფორმაცია

პაკისტანი თალიბებს ავიწროებს

AFP' 2009

პაკისტანის სამთავრობო ჯარები ქალაქ მინგორაში შევიდნენ. მინგორა მთავარი და ყველაზე დიდი ქალაქია სვატის დაბლობისა, რომელსაც, ძირითადად, ამბოხებული თალიბები აკონტროლებენ. გააფთრებული ბრძოლები უკვე ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს. არმიის წარმომადგენლის ცნობით, სამხედრო ოპერაციის შედეგად 17 ბოევიკი დაიღუპა. თალიბების წარმომადგენელმა დაადასტურა მინგორაში სამთავრობო ჯარების შესვლა, მაგრამ უარყო მსხვერპლი საკუთარ რიგებში და დასძინა, რომ თალიბები ბოლომდე იბრძოლებენ.

მინგორას აღება შეიძლება შემობრუნების წერტილი გახდეს პაკისტანის ხელისუფლების გრძელვადიან დაპირისპირებაში ბოევიკებთან, რომლებიც ქვეყნის ჩრდილო დასავლეთის რიგ ტერიტორიებს აკონტროლებენ. პაკისტანის არმიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ატარ აბასმა განაცხადა, რომ ისინი საკმაოდ რთულ ოპერაციას ახორციელებენ, ბრძოლა ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს და მათ პრაქტიკულად თითოეული სახლის გაჩხრეკა უწევთ. აბასის ცნობითვე, არმიამ ქალაქის ნაწილი უკვე გაწმინდა. სამხედროები აცხადებენ, რომ ქალაქი ალყაშემორტყმულია, ბოევიკების საბრძოლო მასალების საწყობების უმრავლესობა განადგურებული და დანგრეულია. გარდა ამისა, გადაჭრილია იარაღის ახალი პარტიის ქალაქში მიწოდების ყველა გზა.

სამხედრო მოქმედებების შედეგად სვატის დაბლობი მილიონნახევარმა ადამიანმა დატოვა და ლტოლვილთა ბანაკებს შეაფარა თავი. სხვათა შორის, პარასკევს გაერო-მ გაავრცელა მოწოდება 543 მილიონი დოლარის შესაგროვებლად. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ეს თანხაა საჭირო პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად.

პაკისტანის არმიამ თალიბების წინააღმდეგ მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია ორ მაისს დაიწყო - მას შემდეგ, რაც ბოევიკებმა სამშვიდობო შეთანხმება დაარღვიეს და შეეცადნენ, საკუთარი გავლენის ზონა სვატის დაბლობის გარეთაც გაეფართოებინათ. სვატის დაბლობში, სხვადასხვა მონაცემებით, 4-დან 5 ათას ბოევიკამდე იმყოფება. მათ წინააღმდეგ სამთავრობო ჯარების 15 ათასი სამხედრო მოსამსახურე იბრძვის.

"ბი-ბი-სი"-ს ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მინგორასთვის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მთელი კამპანიის განმავლობაში, რადგან ამ ბრძოლაში სწრაფი გამარჯვება უზრუნველყოფს მთავრობისადმი მოსახლეობის მხარდაჭერას ბოევიკებთან შემდგომ დაპირისპირებაში. ეტყობა, იმ დევნილი მოსახლეობის თანადგომა იგულისხმება, რომლებიც თალიბებს სვატის დაბლობიდან გამოექცნენ და სახლებში მას შემდეგ დაბრუნდებიან, რაც იქ ხელისუფლების კონტროლი აღდგება.

ისე, შეუძლებელია, თალიბებს პაკისტანის ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის კონტროლი მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე მოეხერხებინათ. ლოგიკურად, მოსახლეობის ნაწილი მათ უკანაც დგას.

სავარაუდოა ისიც, რომ პაკისტანის არმიის გააქტიურება უკავშირდება ამერიკის მხრიდან პაკისტანის ხელისუფლებაზე ზემოქმედებასა და ამ ქვეყნის პრეზიდენტის ამასწინანდელ ვიზიტს შეერთებულ შტატებში. ამერიკა არ მალავს, რომ შეშფოთებულია ბოევიკების გააქტიურებით პაკისტანში, უსაფრთხო არ არის ამერიკული კოლონების მოძრაობაც ავღანეთისაკენ. ამერიკის ოფიციალური პირებიდან ბევრი მიიჩნევს, რომ პაკისტანის ხელისუფლება ყველაფერს არ აკეთებს თალიბებთან საბრძოლველად. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ქვეყანაში უსაფრთოების გასაძლიერებლად პაკისტანს დახმარებას გაუზრდის (ისევე როგორც ავღანეთს). ეტყობა, ამ ყველაფერმა ერთად შედეგი გამოიღო და პაკისტანის ხელისუფლებაც წესრიგის დამყარებას უფრო აქტიურად შეუდგა.

"ბი-ბი-სი"-ს მოხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ.

"ძალიან ბრიტანული რევოლუცია"

ვინ დგას საპარლამენტო სკანდალის უკან

მარიკა იაშვილი

ბრიტანულმა გაზეთმა "დეილი ტელეგრაფმა" იმ ადამიანის ვინაობა დაასახელა, რომელმაც გამოცემას პარლამენტართა უკანონო ხარჯების შესახებ სენსაციური ინფორმაცია მიაწოდა.

ბრიტანეთის საგანგებო სამხედრო-საჰაერო ფლოტის ყოფილმა ოფიცერმა ჯონ უიკმა "დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტს უამბო, თუ როგორ აღმოჩნდა მის ხელში ინფორმაცია, რომელიც პარლამენტის დეპუტატთა მიერ თანხების გაფლანგვას შეეხებოდა.

მონაცემები იმ პირადი ხარჯების შესახებ, რომელთა ანაზღაურება სახელმწიფო ხაზინიდან უკანონოდ ხდებოდა, ბრიტანულ პრესაში უკვე რამდენიმე კვირაა, ქვეყნდება. სტატიებმა სკანდალი გამოიწვია, რასაც შედეგად რამდენიმე ხმაურიანი გადადგომა მოჰყვა. მათ შორის არიან პარლამენტის თემთა პალატის სპიკერი მაიკლ მარტინი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე შაჰიდ მალიქი.

სკანდალის შესახებ კომენტარი კენტერბერის არქიეპისკოპოსმა როუენ უილიამსმაც გააკეთა. გაზეთ "თაიმსში" გამოქვეყნებულ წერილში უილიამსმა განაცხადა, რომ პარლამენტართა ქმედება ბრიტანეთის მორალური მდგომარეობის ამსახველია.

როგორც "დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, საპარლამენტო სკანდალის უკან ყოფილი სამხედრო მოსამსახურე ჯონ უიკი დგას, რომელიც ანტიტერორისტულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობდა, ახლა კი ფლობს კომპანიას, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს ტყვეთა გათავისუფლების შესახებ მოლაპარაკებებში ეხმარება.

უიკის განცხადებით, მიმდინარე წლის მარტში მას უცნობმა პირმა დაურეკა და უთხრა, რომ ფლობდა დისკს, რომელზეც განთავსებული იყო ინფორმაცია ბრიტანეთის ყველა პარლამენატრის ხარჯების შესახებ ბოლო 4 წლის განმავლობაში.

"დისკზე იყო ყველა ჩეკის ასლი, ყველა თხოვნა ხარჯის ანაზღაურების შესახებ, ყოველი წერილი, რომელიც დეპარტამენტში იმ დეპუტატებისთვის იყო გაგზავნილი, ვინც დანახარჯებით არიან დაკავებული. საერთო ჯამში დანახარჯები, დაახლოებით, 4 მილიონ ფუნტს აღწევდა" - განაცხადა უიკმა.

მისი თქმით, მას უცნობმა ადამიანმა ამ ინფორმაციის გამოქვეყნებაში დახმარება სთხოვა და არწმუნებდა, რომ დისკი მოპარული არ იყო.

მას შემდეგ, რაც ინფორმაციის ფრაგმენტი მოითხოვა, რათა უცნობი ინფორმატორის ნათქვამის სიმართლეში დარწმუნებულიყო, უიკი მიხვდა, რომ **"პარლამენტარების მიერ ჩადენილი კანონდარღვევა უდიდესი სკანდალი იყო, რომლის შესახებაც ყველას უნდა სცოდნოდა."**

ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ თავიდანვე შესანიშნავად ესმოდა, თუ რამდენად სარისკო იყო მისი ქმედება. იურიდიული კონსულტაციის გავლის შემდეგ ის მიხვდა, რომ შეეძლო არა მხოლოდ თავისი ბიზნესისთვის შეექმნა საფრთხე, არამედ პოლიციის ყურადღების ცენტრშიც მოხვედრილიყო.

არგუმენტებს შორის ბოლო ადგილზე ისიც იყო, რომ უიკი კონსერვატორთა მხარდამჭერია, მუშაობდა ორგანიზაციაში, რომელიც პარტიისთვის სახსრებს აგროვებს და რამდენიმე მაღალი რანგის კონსერვატორს მეგობრადაც მიიჩნევს.

"ეს ისეთი მასშტაბის მოვლენა იყო, რომ ჩემი პოლიტიკური სიმპათიები გვერდზე უნდა გადამედო. ზოგი კონსერვატორი დეპუტატის ქმედება ისეთივე დასაგმობი იყო, როგორც მათი კოლეგა ლეიბორისტების ," - აღნიშნა უიკმა.

მისი განცხადებით, გაფლანგვის ამ ისტორიაში ყველაზე აღმაშფოთებელი ის კი არ იყო, დეპუტატები გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან როგორი მასშტაბებით ინაზღაურებდნენ პირად ხარჯებს, არამედ ის, რომ პარლამენტარებს ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შიში არ ჰქონდათ.

"ამ ქაღალდებს არ ჰქონია გრიფი "საიდუმლო" და უფრო მეტიც, ისინი "კონფიდენციალურიც" კი არ ყოფილა. გაფლანგვის სკანდალი შესაძლოა მოწმობდეს კანონდარღვევებისა და კორუფციის არსებობას ვესტმინსტერში, მაგრამ გარდა ამისა, ის მიგვითითებს, თუ რამდენად საშინელი მდგომარეობაა ბრიტანეთში ინფორმაციის დაცვის მხრივ," - განაცხადა უიკმა.

მისი თქმით, როგორც ყოფილი ოფიცერი ამაყობს ამ **"ძალიან ბრიტანულ რევოლუციაში"** მონაწილეობით. სწორედ ამ სახელით მონათლეს ჟურნალისტებმა დეპუტატთა მიერ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის სკანდალი.

AIR

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია
სასწავლო პროგრამა
"პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა"

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გიწვევთ სასწავლო პროგრამაში: "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა." პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის საფუძვლების შესწავლით; მათთვის, სურვილი აქვს განავითაროს უკვე არსებული ცოდნა ამ სფეროში.

პროგრამა შედგენილია იმდაგვარად, რომ სტუდენტებს მიიღონ თეორიული ცოდნა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აგრეთვე განავითარონ ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, არამედ მისი რეალიზაციისათვის. სასწავლო პროგრამის აქცენტი განაწილებულია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლებისა და მიმდინარე დებატების უკეთ გასაცნობად. ამ მხრივ, სტუდენტები მიიღებენ, როგორც საბაზო ცოდნას, ასევე ინფორმაციას თანამედროვე მიდგომებისა და პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ.

ძირითადი თემები: სტრატეგია და პოლიტიკა; უსაფრთხოების პოლიტიკა; პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ძალა; საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პარადიგმები; პოლიტიკური რისკის შეფასება, ანალიზი და მენეჯმენტი; მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი მოვლენები; დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა; თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში; დაზვერვა, როგორც პოლიტიკა, ორგანიზაცია და პროცესი; დაზვერვა და პოლიტიკა; ინფორმაცია და მისი წყაროები, ინფორმაციის ანალიზი.

სტუდენტთა აღიარება და სტაჟირება

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის სერთიფიკატი. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სტაჟირება ასოციაციაში, გაზეთ "24 საათში" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

პროგრამის ლოგისტიკა

ლექციები წარიმართება ქართულ ენაზე. საკითხავი მასალა მოწოდებული იქნება ინგლისურ ენაზე. ლექციები ჩატარდება კვირაში ოთხჯერ, საღამოს 6:30-9:00 საათებში. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ოთხი სრული სასწავლო კურსი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა ორი თვეა. პროგრამის ღირებულებაა 600 ლარი. მისაღები ლიმიტია 25 სტუდენტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია (შეგიძლიათ შეავსოთ აქ: http://bmu.li/st4) **არა უგვიანეს 25 მაისისა.** სასწავლო პროგრამა დაიწყება **27 მაისს და დასრულდება 31 ივლისს.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: training@air.org.ge

CMYK - 8

სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებული
სარგებლისთვის...
მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

"მეგობარი" ნიბარი

გახსენი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის" ფილიალებიდან - უფასო

(822) 92 55 55
www.republic.ge

CMYK - 9

ᲮᲐᲖᲘ, ᲤᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ

რუსუდან ფეტვიაშვილი ევროპაში

მზეხა მახარაძე

პერსონალური გამოფენები, რომლებიც პარალელურად პარიზის, ბერლინისა და ვესტფალიის საგრაფოს გალერეებში მიმდინარეობს, ამ გამოფენებზე კრიტიკოსები ამბობენ, რომ "რუსიკოს ცხოვრების ფერწერული გაგრძელებაა...". აქ იკრიბებიან ის კრიტიკოსები, რომლებიც იქიდან დასდევენ მის მეტაფორულ ხელოვნებას, როცა "პატარა ლედი" გენიალურმა პიკასომ მოიხსენია გენიალურად. აქ დამთვალიერებლების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, არაერთხელ უთქვამთ, რომ "ეს მისტიკური ტილოები არღვევს ყოველგვარ კანონებს და იმისთვის, რომ ნახატები აღიქვა, უნდა იყო უბრალო ადამიანზე სულ ცოტათი მეტი. აბა, როგორ შეიძლება ასეთი რაღაცეები წარმოიდგინო და მერე დახატო?" რეალურისა და ირეალურის ინტერპრეტაცია ფერწერიდან არაერთხელ გადავიდა დიდ პროზაში. რუსიკო ფეტვიაშვილის ილუსტრაციები, რომელიც პარიზში გამოცემული "ვეფხისტყაოსნისთვის" შექმნა ათასი საოცრებით და მსუბუქი პალიტრით, ფრანგებმა "უსიტყო პროზად" აღიქვეს თურმე. გასტონ ბუაჩიძის ნათარგმნი "ვეფხისტყაოსანი" იგივე რედაქციით რამდენიმე დღეა რაც ქალაქ ნანტში გამოიცა... ილუსტრირება, რუსიკოს "ხელის ინტელექტის" ნაწილია, რომელსაც სხვა "ინფორმაცია" მოაქვს, მოაქვს ენერგეტიკა და ფერწერაში ქმნის ფერწერის დინამიკას, ანუ სამყარო, რომელსაც ფერებით წერს, თავად მხატვარშია - სიმბოლოებით დაშიფრული და ღრმა.

ეს კომპოზიციები, რომლებიც არავის არ გავს, თუმცა "აქამდე ამოუცნობ ფენომენს" ეკუთვნის და ყველას ერთნაირად აოცებს, თითქოს ზღაპრის სიუჟეტებიდან მოვიდა... მიუხედავად იმისა, რომ რუსიკო ფეტვიაშვილის ესთეტიკაში გამოგონილი თითქმის არაფერია, ამ ფერწერიდან თითქოს ირეალურ კონტექსტებს კითხულობ. მოტივები ცხოვრებისეულია, მხატვრის ხელწერაში გადის ყოველდღიურობის ალეგორიული ასახვა, სადაც ხაზს მოჰყვება ფერი, ფერს ფიგურა, სივრცე, ემოცია და... ასე ივსება აბრეშუმზე ჰარმონიული ქაოსი. სიყვარულის მრავალსიუჟეტიან სერიაზე, რომელმაც მხატვრობამდე ჯერ რუსიკოს გულსა და გრძნობებზე გაიარა, რენატო გუტუზომ დაწერა: "მისი ნამუშევრების ხილვისას კიდევაც შეშფოთდები. მე ღრმად შემძრა მისმა გასაოცარმა ფანტაზიამ, ბუნებრივის შერწყმამ ზებუნებრივთან..."

- როგორია ევროპელი დამთვალიერებელი თავისი ტემპერამენტისა და ინტელექტის ფონზე? გავს თუ არა ევროპისა და თბილისის ვერნისაჟები ერთმანეთს? რუსიკო, რას ნიშნავს და რას გაძლევთ ექსპოზიცია?

- ჩემთვის გამოფენა ახალი აზროვნებაა, რომელიც შემოქმედებაში მოვძებნე და უნდა შევთავაზო მნახველს. გამოფენები, რა თქმა უნდა, განსხვავდება: აქ ნამუშევრებს ყველა თავისებურად აღიქვამს, ქუჩიდანაც შემოსულან, მაგრამ იქ მოდიან ისინი, ვისაც ეპატიჟები, ვისაც წლებია აინტერესებს ჩემი მხატვრობა და არის ძალიან ერთგული დამთვალიერებელი. რას დავაკვირდი იცით, აი, უცხოელები უფრო რაციონალურები არიან ნამუშევრების მიმართ, ნახატების გაშიფვრას მთხოვენ ხოლმე, რომ მათი წაკითხვის ინტერპეტაცია შეძლონ - რა სიმბოლო რას ნიშნავს და იმის მიხედვით იაზროვნონ... და, მათ უკვე იციან, რომ ჩემს ნამუშევრებში მდინარე გამოხატავს ცხოვრების დინამიკას, ჩიტი, რომელსაც ნისკარტით უჭირავს თევზი, სიუხვეს და ბარაქას, ჩიტი, რომელიც არის მობრუნებული აღმოსავლეთის მხარეს, არის წინსვლის და სიმამაცის სიმბოლო, ჩიტი, რომელიც ადამიანის თავზეა, გამოხატავს მის შინაგან ბუნებას და თუკი ამ ჩიტს ნისკარტით უჭირავს თევზი, ესე იგი, ის ადამიანი არის სულიერად ძალიან მდიდარი, წინმსწრაფი..., ანუ ქვეყნის კონტექსტებია, და ეს ყველაფერი თუ გესმის, წაიკითხავ... ადამიანის ურთიერთობებზე ნამუშევრებში ხშირად "ვსაუბრობ" და ამ ურთიერთობებში როგორ შეიძლება გამოვხატო სიხარბე, სიკეთე, თუ მძულვარება? გამოვხატავ ცხოველების, ან საგნების საშუალებით იმიტომ, რომ ჩამოყალიბებული სახე სიხარბეს, ბოროტებას, სიძულვილს არა აქვს, ხომ?.. ჩვენთან უფრო ემოციური აღქმაა, აქ ყველა თავისით მოდის, არავინ არაფერს არ მეკითხება, ნახატებსაც თავისებურად აღიქვამენ. მახსოვს, ჩემს გამოფენაზე თვითონ მიხსნიდნენ ჩემს ნამუშევრებს, ეს ძალიან საინტერესო იყო, იმაზე უფრო უკეთესი ანალიზი, ვიდრე მე გამიკეთებია. მე სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ყველა ჩემი ნამუშევარი იყოს დადებითი ენერგეტიკის, კეთილი, ზღაპრისეული პრინციპით - "ბოროტსა სძლია კეთილმან".

- თქვენი კომპოზიციები, რომლებიც ხალიჩის ორნამენტებივით არის ნაქარგი, აქ ფერის ფორმულაც სიმბოლურია?

- მთავარი არის ხაზი, ხაზი აზრს მიყვება, ხაზი არის ფორმების გამომსახველი. ფერები? ფერებს ყოველთვის ვდებ ინტუიციურად, ამ ფერებს მოაქვს განწყობა... მე არ მიყვარს უხეში, სქელი ფენები იმიტომ, რომ სქელი ფაქტურა რაღაც ჭუჭყის ასოციაციას მიტოვებს. ჩემთვის ფერი უნდა იყოს აუცილებლად მსუბუქი, ანუ არ უნდა მაწუხებდეს ეს "მაზოკები", ხომ გესმით? უფრო ზუსტად გეტყვით, ქაღალდზე ერთ ფერს რომ დავადებ, შეიძლება მეორე ფერიც დავადო, მესამე, მეოთხე, მაგრამ ეს უნდა იყოს გამჭირვალე და აუცილებლად სუფთა. ზეთის საღებავებშიც კი იმდენს მივაღწიე, რომ მისი სქელი ფაქტურა აკვარელს დავამსგავსე, გავათხელე იმიტომ, რომ დიდ ტილოზე აკვარელი დიდხანს ვერ ძლებს...

- მუსიკას მოაქვს ფერი?

- მუსიკასაც და ინტუიციასაც. კლასიკური მუსიკის ქვეშ, განსაკუთრებით, ბეთჰოვენთან სიამოვნებით ვხატავ, ბეთჰოვენის მუსიკა ახლობელია, რაღაც სხვანაირად მოქმედებს, ყველაზე მეტად მიყვარს...

- როცა მუშაობთ ასეთ მრავალსიუჟეტიან, მეტაფორულ ნამუშევრებზე, ინსპირაცია საიდან მოდის? არის ნახატი, რომელიც თქვენთვის იქცა ინსპირაციად?

- ტულუზ-ლოტრეკის "მულენ რუჟი". საოცარი მხატვარია! ეს ნამუშევარი პარიზის მუზეუმში პირველად რომ ვნახე, გავგიჟდი.. და გამაგიჟა მხატვრობის მიმართ მისმა მიდგომამ. ამ ნამუშევარს აქვს საოცარი გამოსახვის უნარი, ამავე დროს არ ავსებს ნახატს, შეიძლება ტილოს ფერიც კი ჩანდეს და გააზრებული გქონდეს ნახატის ფონად, ანუ ზედმეტ საღებავს არ დებს, მინიმალური საშუალებით გამოხატავს მაქსიმუმს. და, ეს არის ფანტასტიკა! ტულუზ-ლოტრეკის სითამამე ჩემთვის დიდი ძალის მომცემია. წარმოიდგინეთ, ასე მსუბუქად, თამამად და იოლად აკეთებს მონასმებს, რაც მთავარია, 10 მეტრიან ტილოზე, თავისუფლად ტოვებს ცარიელ ადგილებს და ამ სიცარიელეს მოაქვს იმხელა განწყობა...

- თქვენ დატოვებდით ასეთ ცარიელ სივრცეებს?

- არ მიცდია, უფრო არა, მაგრამ იაპონიასა და ამერიკაში გაგზავნილი მაქვს ნამუშევრები, რომლებზეც მსგავსი განწყობით ვიმუშავე - თამამად, ტილოზე დავტოვე ბევრი ცარიელი ადგილი ოღონდ ხაზების ხარჯზე, ბევრი ფერიც არ დავადე...

- არსებობს მხატვარში შიში?

- არსებობს. მე მაქვს დახატული 9 მეტრიანი ტილო, მაგრამ სანამ დავიწყებდი მუშაობას, მის წინ ვიდექი და მქონდა შიში... მე მთლიანად ვავსებ ნამუშევარს, იმდენი ფიქრი, ენერგია იდება მასში, რომ... თუ ნახატი არ მომეწონა, თავიდან ვგრუნტავ და მერე ახალ ნამუშევარს ვაკეთებ. ამას ჩემს გარდა ვერავინ ვერ იგებს, არის ნამუშევრები, რომლის ქვეშ ორი-სამი ნახატი დევს.

- ევროპაში, სადაც ასე ღრმად არის "დასაფლავებული" ფერწერა ტილოზე. კონცეპტუალური ART-ის, ინსტალაციების ბუმია, რატომ აღიქვამენ ვიზუალურ ART-ში ფერწერას და გრაფიკას მოძველებულად? თქვენ თუ აღიქვამთ კონცეპტუალურ ART-ს ხელოვნებად? რამდენად საინტერესოა ის თქვენთვის, ანუ თუ ამართლებთ მის არსებობას თავისი ლოგიკით, გამოსახვის ფორმებით, მოტივაციით? - თანამედროვე ხელოვნებაში ეს უბრალოდ რაღაც ეტაპის უფერული, უშინაარსო ტენდენციაა თუ პრიმიტივიზმისკენ სვლა? თქვენი შემოქმედებით როგორ გადაურჩით კონცეპტუალური ART-ის ცდუნებებს?

- გეტყვით, კონცეპტუალური ხელოვნების ბუმი დღეს არის "შიშველი მეფის" სინდრომი, გახსოვთ ანდერსენის ეს ზღაპარი? მსოფლიო არტ-ბიზნესში ამ "ხელოვნებას", რომელსაც დიდი მაფიოზური სისტემა მართავს, ძალიან დიდი ფული მოაქვს, დიდი პრომოუშენი აქვს... სინამდვილეში კონცეპტუალური ART და ინსტალაციები არ არის ხელოვნება, რადგან ეს არის "არაფრისგან არაფრის გაკეთება", აღარც პრესტიჟულად ითვლება, უფრო მეტს გეტყვით, გერმანიაში, საფრანგეთსა და ამერიკაში უკვე ხვდებიან, რომ მხატვრობაში ეს არის ხელოვნურად "შეგდებული" თემა და უკვე მოდის ის დრო, როცა დაიძახებენ: მეფე შიშველია!

ამასთან რაღაცას მოგიყვებით, რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა ბერლინში ჩემს გამოფენებზე უარი თქვეს იმ გალერეებმა, სადაც ასე აქტუალურია კონცეპტუალური არტი. ჩემი ნამუშევრები დიდია - ორი-სამ მეტრიანი ტილოები, გვჭირდებოდა ასევე დიდი სივრცე გამოსაფენად და რომ შევედით ერთ-ერთ გალერეაში, ვნახე ინსტალაცია - ორი ნიჩაბი, სამი აგური, ჩამოკიდული დიდი ჭუჭყიანი ტილო, კუთხეში მეთევზის ბადე და... ამ ფონზე, ჩემი კატალოგი გალერისტს რომ ვაჩვენეთ, მოეწონა - ძალიან საინტერესოაო, მაგრამ ჩვენ კონცეპტუალურ ხელოვნებას ვემსახურებითო... და უარით გამოგვიშვეს.

- კონცეპტუალური ART-ის ბუმში პარიზსა და ბერლინში "რუსუდან ფეტვიაშვილის გალერეა" იხსნება?

- დიახ, ხომ მოგიყევით, გალერეადან უარით რომ გამოგვიშვეს, ჩემმა მენეჯერმა მითხრა: მოდი შენი გალერეა გავხსნათო. აქედან წამოვიდა და ჩამოყალიბდა ეს იდეა, მერე იდეას გავყევით და... წლის ბოლოს ჩემი გალერეა გაიხსნება ბერლინის ცენტრში - მიტეში, - შოსეშტრასეზე შენობა უკვე რემონტდება და ეს სივრცე მთლიანად დაეთმობა ხელოვნების ცენტრს. პარიზის გალერეაზე ჩვენ ჯერ კიდევ მოლაპარაკებების პროცესში ვართ და... ვნახოთ რა იქნება.

როგორც ლურჯა ცხენები

ალფრედ ჰიჩკოკის "ფსიქოს" ცოცხალი საუნდტრეკის თანხლებით აჩვენებენ

ია ვეკუა

თუკი სადმე ტრილერის ისტორიას ასწავლიან, სწავლებას უთუოდ ალფრედ ჰიჩკოკის ერთ-ერთი საუკეთესო, ბევრისთვის კი ერთმნიშვნელოვნად საუკეთესო ფილმით, "ფსიქოთი" იწყებენ. მომავალ წელს ფილმს გადაღებიდან 50 წელი უსრულდება, იუბილესთვის მზადება კი უკვე დაწყებულია. სწორედ საიუბილეო თარიღს უკავშირდება ჩვენება, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ და რომელმაც უკვე გამოიწვია პრესისა და მაყურებლის არნახული დაინტერესება.

28 მაისს ლონდონში, ნოთინგ ჰილის რაიონში მდებარე კინოთეატრ Coronet Cinema-ს დარბაზში ერთადერთი უნიკალური ჩვენება გაიმართება - "ფსიქოს" ცოცხალი მუსიკის თანხლებით აჩვენებენ, ფილმის არაჩვეულებრივ და ამავროულად შემაძრწუნებელ მუსიკას კი ლონდონის საუნდტრეკების ორკესტრის (London Soundtrack Orchestra) სიმებიანი ინსტრუმენტების ოცკაციანი შემოდგენლობა შეასრულებს, რომელსაც კომპოზიტორი და დირიჟორი ბენ ფოსტერი უხელმძღვანელებს.

სხვათა შორის, ფილმის ჩვენება საუნდტრეკის ცოცხალი შესრულებით საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება. თუმცა მსგავსი რამ ქართულ კინოსაც ახსოვს - 2003 წელს კახა მელითაურისა და თინა მენაბდეს იგავურ-ალეგორიული ხასიათის "როგორც ლურჯა ცხენები" გამოვიდა. ფილმის პრემიერა კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა, საპრემიერო ჩვენებაზე კი მუსიკის ავტორი ნიკა მემანიშვილი ცოცხალ ორკესტრს ხელმძღვანელობდა. ეს იყო საკმაოდ შთამბეჭდავი და საინტერესო ექსპერიმენტი, რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ ერთჯერადი აღმოჩნდა და გაგრძელება აღარ ჰქონია.

რაც შეეხება "ფსიქოს" მუსიკას, მისი ავტორია ბერნარდ ჰერმანი - კომპოზიტორი, რომელმაც ფაქტიურად ჰიჩკოკთან ერთად შექმნა ამ საოცარი ფილმის ხასიათი და შიშის მომგვრელი ფონი. ვისაც "ფსიქო" ერთელ მაინც აქვს ნანახი, შესაძლოა ბევრი დეტალი არ ახსოვდეს, მაგრამ შეუძლებელია ამ მუსიკალური თემის დავიწყება, როდესაც წინა პლანზე სიმებიანი საკრავები გამოდიან და ულამაზეს და ამავდროულად საშინლად დამთრგუნველ აკორდებს ქმნიან.

ფილმმა 1961 წელს ოთხი "ოსკარი" მიიღო (რეჟისურისთვის, ქალის მეორეხარისხოვანი როლისთვის, დეკორაციებისა და შავ-თეთრი გადაღებისთვის), ჰერმანი კი ნომინირებულიც არ ყოფილა, რაც ნამდვილად დიდი უსამართლობაა. ამას არც ალფრედ ჰიჩკოკი მალავდა და არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი ფილმის წარმატება ჰერმანის მუსიკამ ბევრად განსაზღვრა. "ფილმში დაძაბულობისა და განწირულობის განწყობის შექმნაში ძალიან დამეხმარა ჰერმანის მუსიკა. "ფსიქოს" გამოსვლის შემდეგ ამ ნაწარმოებებს ხშირად ვუსმენდი ხოლმე და ყოველ ჯერზე ვგრძნობდი ჩემს სულში მიმდინარე ბრძოლას სიკვდილთან, სიკვდილის შიშს და თავად შიშს", - წერდა ალფრედ ჰიჩკოკი.

სხვათა შორის, არსებობს ფაქტებიც - რომ არა ბერნარდ ჰერმანი, შესაძლოა "ფსიქო" ეკრანებზე არც გამოსულიყო. ფილმზე მომუშავე სხვადასხვა ადამიანის მოგონებებიდან ირკვევა, რომ ჰიჩკოკი უკმაყოფილო იყო გადაღებული მასალით და მის დამონტაჟებას არც აპირებდა. თუმცა გადაწყვეტილება მაინც შეცვალა, რადგან ჰერმანი ამ შავ-თეთრი ფილმისთვის შავ-თეთრი მუსიკის შექმნას დაჰპირდა, ხოლო როდესაც რეჟისორმა საუნდტრეკის პირველი მონახაზი მოისმინა, მაშინვე შეუდგა სამონტაჟო სამუშოებს.

ბერნარდ ჰერმანმა თავისი ერთადერთი "ოსკარი" 1941 წელს მიიღო ფილმისთვის "ყველაფერი, რასაც ფულით იყიდი". ეს მისი მეორე ფილმი იყო, პირველი საუნდტრეკი კი ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო ფილმად აღიარებული, ორსონ უელსის "მოქალაქე კეინისთვის" დაწერა. მასვე ეკუთვნის მუსიკა რობერტ უაიზის კლასიკური ფილმი-ფანტასტიკისთვის "დღე, როდესაც დედამიწა გაჩერდა", ჰენრი კინგის ასევე კლასიკური ნამუშევრისთვის "კილიმანჯაროს თოვლიანი მთები", ალფრედ ჰიჩკოკის ფილმებისთვის "ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი იცოდა", "ვერტიგო", "ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთის გავლით" და "მარნი", ფრანსუა ტრიუფოს "ფარენჰეიტ 451-სა" და მარტინ სკორსეზეს შესანიშნავი "ტაქსის მძღოლისთვის".

ალან მურის აუდიოწიგნი

მაიკ პეტონის საუნდტრეკი და მზადება გასტროლებისთვის

მრავალმხრივობითა და ექსპერიმენტების სიყვარულით განთქმული მაიკ პეტონი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად გადაერთო კინოს სამყაროში და სულ უფრო ხშირად წერს მუსიკას ფილმებისთვის. ახლა კი მორიგი პროექტი წამოიწყო ბრიტანელ მწერალ და სცენარისტ ალან მურთან ერთად, რომელიც ახალ აუდიოწიგნზე იწყებს მუშაობას. ეს იქნება ორსაათიანი ხანგრძლივობის მქონე ნახევრად ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელიც 2010 წლის დასაწყისში გამოვა და არ არის გამორიცხული ფილმის მასალადაც იქცეს.

ჯერჯერობით ცნობილი არაა, რა სახელწოდებით გამოვა მურის ახალი პროექტი, თუმცა ამას ცხადია განსაკუთრებული მნიშვნელობა არც აქვს. ბიოგრაფიის სასაჩუქრე ვერსიას დაემატება ჩვეულებრივი წიგნი და ვინილის დისკზე ჩაწერილი საუნდტრეკი. მეტი მოხერხებულობისთვის სავარაუდოდ აუდიო წიგნის გარკვეული ტირაჟი ფლეშ მატარებელზეც გამოვა.

ალან მური ნამდვილად მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც აქვთ უფლება საკუთარი ბიოგრაფია საზოგადოებას გააცნონ და თანაც თვით მაიკ პეტონის მუსიკის თანხლებით. ალან მური კომიქსებისა და გრაფიკული ნოველების ცნობილი ავტორია და ამ სფეროს მოყვარულებისთვის დაახლოებით ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორიც, ვთქვათ, ფეხბურთში მარადონას. სწორედ მისი შექმნილია საქვეყნოდ ცნობილი კომიქსები "მცველები" (Watchmen), პრაქტიკულად შედევრი V ნიშნავს ვენდეტას", "გამოჩენილ ჯენტლმენთა ლიგა", "ჯოჯოხეთიდან" და ასე შემდეგ.

ალან მურზე საუბრისას, როგორც წესი, მის ორ განსაკუთრებულობას უსვამენ ხოლმე ხაზს: მას უნიკალური ხედვა აქვს, რაც წარმატებულ კარიერასაც განაპირობებს და ამავდროულად საშინელი ხასიათითაა დაჯილდოვებული, რის გამოც გამომცემლებთან გამუდმებით კონფლიქტში იმყოფება. მისი ნოვატორიზმი 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან იწყება, როდესაც DC კომიქსის საკმაოდ უღიმღამო Swamp Thing-ის გაგრძელება ჩააბარეს. ალან მურმა შეძლო სრულიად ურეიტინგო ისტორიის იმდენად გაკეთილშობილება, რომ მალე ამ კომიქსის წყალობით ახალი დამოუკიდებელი ისტორიები შეიქმნა Hellblazer-სა და Sandman-ის შესახებ. 1986 წელს კი დეივ გიბონსთან ერთად ეპოქალური გრაფიკული რომანი "მცველები" შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედო ცოტა ხნის წინ გამოსულ ამავე სახელწოდების ფილმს.

ალან მური ცნობილია კომიქსის აგების თავისებური სტრუქტურით, როდესაც ერთი დეტალიც კი არ არის ზედმეტი და მეტიც - გარკვეულ პირდაპირ თუ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მას კომიქსის შესაძლებლობების 100 პროცენტით გამოყენების უნარი აქვს. მის ნამუშევრებში ტექსტს და გამოსახულებას თანაბარი დატვირთვა აქვს და ერთმანეთს ავსებს. გარდა ამისა, მურს ინგლისური სალიტერატურო ენის ძალიან კარგ მცოდნედ მიიჩნევენ, ამიტომ მის კომიქსისითვის ზედმეტად მდიდრულ ტექსტებში ხშირად შეხვდებით მეტად შთამბეჭდავ აღწერებს, მეტაფორებს თუ დიალოგებს.

რაც შეეხება მაიკ პეტონს, იგი პარალელურად Faith no More-ს შემადგენლობაში ევროპული გასტროლებისთვის ემზადება, რომელიც 10 ივნისს ლონდონის Brixton Academy-სცენაზე დაიწყება და ამჟამინდელი მონაცემებით აგვისტოს ბოლომდე გასტანს.

კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებელი გაიხსნა

კონსერვატორიის კამერულ დარბაზში დღეს, 12 საათზე ახალ სამუსიკო სასწავლებელში ჩაბარების მსურველთათვის ღია კარის დღე გაიმართება.

თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან სამუსიკო სკოლა დაარსდა. ამ სასწავლებელში პირველი მისაღები გამოცდები 4 ივნისს დაიწყება.

2009/2010 სასწავლო წლისათვის სამუსიკო სკოლა აცხადებს მიღებას I-XI კლასის ჩათვლით. სკოლაში ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გამოცდას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საფორტეპიანო
2. საორკესტრო სიმებიანი საკრავები
3. საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები

პირველ კლასში ჩარიცხვა განხორციელდება მუსიკალური მონაცემების შემოწმების შედეგად. მისაღები გამოცდები ჩატარდება სახელმწიფო კონსერვატორიაში

24 საათი

საფრანგეთში მეფე ლუდოვიკოს პილიტიკური ანდერძი აღმოაჩინეს

ფრანგმა მკვლევარებმა მეფე ლუდოვიკო XVI პოლიტიკური ანდერძი აღმოაჩინეს. მას თავი XVIII საუკუნის ბოლოს მომხდარი რევოლუციისას, ცოლთან - მარია-ანტუანეტასთან ერთად მოკვეთეს. ამის შესახებ ინფორმაციას Le Figaro ავრცელებს. დოკუმენტი, რომელიც აქამდე დაკარგულად ითვლებოდა, ფრანგმა მანუსკრიპტების კოლექციონერმა - ჟერარ ლერიტიემ (Gerard Lheritier) აშშ-ში შეიძინა. იმის შესახებ, თუ როდის ან რა გზით მოხვდა ანდერძი ამერიკაში, არაფერია ცნობილი. იტყობინებიან, რომ ანდერძის შინაარსი ისტორიკოსებისთვის აქამდეც იყო ცნობილი. მეფე ლუდოვიკოსთან დაკავშირებული პროცესის დროს დოკუმენტიდან ამოღებული მრავალი ტექსტი გაზეთებსა და პარლამენტის არქივში მოხვდა. თუმცა, ორიგინალი დღემდე არავის უნახავს. პოლიტიკური ანდერძი, ან მიმართვა თითოეული ფრანგისადმი (Declaration a tpus les Francais) მეფე ლუდოვიკომ რევოლიციური პარიზიდან გაქცევამდე დაასრულა. ეს 1791 წლის 21 ივნისს მოხდა. პოლიტიკური ანდერძის თექვსმეტ ფურცელზე ლუდოვიკო XVI დაწვრილებით განიხილავს 1789 წლის რევოლუციის მოვლენებს, რომელმაც ძველი რეჟიმი დაამხო და მას საკუთარ შეფასებას აძლევს. აღსანიშნავია, რომ ანდერძი კონტრევოლუციურ მიმართულებას არ ატარებს.

ანდერძში აღნიშნულია, რომ მეფე ლუდოვიკო კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მომხრე იყო. თუმცა, მონარქის ერთპიროვნულ ძალაუფლებასაც არ ამართლებდა. ის აკრიტიკებდა და საყვედურობდა მრავალრიცხოვან რევოლუციურ კლუბებს, რომლებმაც საფრანგეთის სამეფო გვირგვინის ღირსებები გაანდგურეს.

მეფე ლუდოვიკომ ქვეყნიდან გაქცევა შეძლო, მაგრამ ის ვერენთან დააკავეს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის ახალი ფასიანი ქაღალდებით (ასიგნაციებით) იცნეს, ხოლო სხვა მონაცემებით, მეფე მისმა პროფილმა გაყიდა. ის პარიზში დააბრუნეს, ხოლო 1792 წლის ბოლოს შედგა სასამართლო. მის მიმართ წაყენებული ბრალდებები სწორედ მის ანდერძს ეყრდნობოდა. 1793 წლის 21 იანვარს მას თავი რევოლუციის მოედანზე მოჰკვეთეს.

Green Day 14 ქვეყანაში

ამერიკული პანკ-როკ-ჯგუფის Green Day-ს ახალი ალბომი გამოვიდა, რომელმაც ხმისჩამწერი კომპანია Warner Bros. Records-ს ინფორმაციით და პირველი კვირის შედეგებით, გამოსვლის დღიდან ამერიკულ ჩარტებში უკვე პირველი ადგილი დაიკავა. 11-დან 17 მაისის ჩათვლით, დისკ - 21st Century Breakdown-ს დაახლოებით 215 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. ამიტომ, ალბომი გაყიდვაში მხოლოდ სამი დღის განმავლობაში იყო, იგი ხუთშაბათს გამოვიდა და როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, სამშაბათს უკვე აღარ იყო.

ადრე გავრცელებული ინფორმაციით, ალბომი ბრიტანული ჩარტების პირველ ადგილზეც იმყოფებოდა, რომელმაც ბობ დილანის ახალი დისკი Together Through Life-ი ჩანაცვლა. დილანის ახალი ალბომი ბრიტანული ჰიტ-პარადების პირველ ადგილზე ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, Green Day-ს ახალი ჩანაწერი მინიმუმ 14 ქვეყნის ჰიტ-პარადების სათავეში აღმოჩნდა: ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გარდა, არგენტინის, ბელგიის, დანიის, კანადის, მექსიკის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის საფრანგეთის, შვეიცარიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ჰიტ-პარადების სათავეები დაიპყრო.

ამერიკული ჰიტ-პარადების პირველი ადგილი როკტრიოს წინა, 2004 წელს გამოსულმა ალბომმა - American Idiot-ც დაიკავა: დისკის მაღაზიებში გამოსვლიდან ექვსი დღის განმავლობაში 267 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა.

ანალიტიკოსების წინასწარმეტყველებენ, რომ მომავალ კვირას Green Day-ს მიერ ჩარტებში დაკავებულ პირველ ადგილს რეპერი ემინემი შეცვლის, რომელიც 4,5 წლის განმავლობაში თავის პირველ ალბომს, სახელწოდებით - Relapse-ს ("რეციდივი") გამოუშვებს. როგორც მოსალოდნელია, პირველ კვირას დისკის დაახლოებით 650 ათასი ეგზემპლარი გაიყიდება.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

კირიონ II-ის ნუმიზმატიკური კოლექცია

წმინდა მღვდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი), ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და საქართველოს ახლად აღდგენილი ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი სიძველეთა დიდი მოყვარული, მკვლევარი და შემგროვებელიც იყო. მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგი აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, არქეოლოგიურ ნივთებს და ძველ მონეტებს. მისი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექციები დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ინახება.

ეპისკოპოსის რანგში მყოფი კირიონი, როგორც ცნობილია, რუსეთის წმინდა სინოდმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის გამო საქართველოდან გადასახლება და მონასტერში ყოფნა მიუსაჯა, რადგანაც ეპისკოპოსის საპატიმროში მოთავსება არ შეიძლებოდა. წმინდა კირიონს საქართველოსთვის ზრუნვა არც გადასახლებაში შეუწყვეტია...

1909 წელს, ხერსონესის მონასტერში მყოფმა კირიონმა, გადაწყვიტა თავისი კოლექციები თბილისში არსებული საეკლესიო მუზეუმისათვის გადაეცა და ამ საქმეში დახმარებისათვის სათანადო წერილით საქართველოში დარჩენილ მეგობრებს მიმართა.

თბილისში დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები: ეპისკოპოსი დავითი, მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, მღვდელი ლაზარევი და ტარასი კანდელაკი, კირიონის წერილის ადრესატი. კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს ერჩიათ კირიონისათვის, რომ კოლექციები მას საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისთვის შეეწირა და არა საეკლესიო მუზეუმისათვის, რადგანაც არსებობდა საშიშროება, რომ ამ ნივთებმა საეკლესიო მუზეუმიდან "პეტრეს ქალაქში მოაყაფლანონ თავი".

ასეც მოხდა. ეპისკოპოს კირიონის შინაურ მუზეუმსა და მის კოლექციებში არსებული მასალები 1911 წლის "20 ენკენისთვეს ტფილისს ჩამოვიდა და ჩვენს მუზეუმში დავაბინავე", წერს კირიონს ალ. ყიფშიძე. კირიონის ნუმიზმატიკური კოლექცია კი მოგვიანებით ე. პახომოვმა მოაწესრიგა.

კოლექციის შევსება წმინდა კირიონს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია... 1914 წელს იგი თხოვდა ტ. კანდელაკს: "საქართველოს ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ჩემი ვერცხლის ფულების სია უნდა ჰქონდეთ, გადმომიწერე, რომ ერთნაირი ფულები აღარ ვიყიდო ხოლმე. დღეს ნევის პროსპექტზედ ვიტრინაში ვნახე რუსული 1810 წლის კაპიკიანი, რომელიც ფასობს 800 მანათად, იქვე იყო მანეთიანი ოქროსი, თითო 1200 მანათი, ჩემ კოლექციაში ორი ოქროს მანეთიანი არის".

კირიონისეულ კოლექციაში რუსული ფულის გარდა ოქროს სხვა მონეტებიც ინახება: ლისიმაქეს სტატერი (ძვ.წ. III ს.) და მისივე მინაბაძები, რომის იმპერატორის ვესპასიანეს (69-81) აურეუსი და ბიზანტიური სოლიდები.

წმინდა კირიონის ნუმიზმატიკური კოლექცია საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განძს წარმოადგენს.

თინათინ ქუთელია
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

იზაბელის არჩევანი

პირველი გვერდიდან

ტრიერის გარდა, ყოველ მათგანს უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, მაგრამ მიხაელ ჰანეკემ ამ სახელებს ერთი და სერიოზული სვლით გაასწრო, მისმა ფილმმა თეთრი ბაფთა კი ტარანტინოს ფილმს უსახელო ნაძირლები , ალმოდოვარის შეწყვეტილ ამბორს , კენ ლოუჩის სურათს ერიკის ძებნაში - იმ სამ სურათს, რომელსაც ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ჰყავდა როგორც საქართველოდან წარგზავნილ კრიტიკოსებს შორის, ისე კანში - ყოველ მათგანს ფესტივალის ბოლო დღეს ნაჩვენებმა სურათმა აჯობა.

აჯობა თუ არა, რეალურად ალბათ მოგვიანებით გავარკვევთ და ყველა თავის არჩევანს მას შემდეგ გააკეთებს, რაც ეს ფილმები მსოფლიო კინოეკრანებზე გამოვა. მაგრამ ერთი ფაქტია, იზაბელ იუპერის ძლიერი, პრინციპული და თავისებური ხასიათი, რომლის შესახებაც საფრანგეთში ხშირად საუბრობენ და თანაც თავშეკავებული ღიმილით, დღეს და ხვალ ისევ გახდება საუბრის თემა. ფესტივალის განმავლობაში კრიტიკა და პრესა აღნიშნავდა, რომ ამდენი ვარსკვლავი ერთად კანის კინოფესტივალს კარგა ხანია არ ახსოვდა, ვარსკვლავებში რეჟისორებს გულისხმობდნენ, თუმცა ფესტივალის დასასრულს კარგად გამოჩნდა, თუ ვინ იყო წელს კანში მთავარი როლის მფლობელი, არა ჰანეკე, არამედ მისი პიანისტი ქალი .

ოქროს პალმის რტოს მფლობელი, რეჟისორი მიხაელ ჰანეკე იზაბელ იუპერი

შარლოტა გინსბურგი

როგორც აღვნიშნე, თეთრი ბაფთა ბოლო საფესტივალო დღეს იხილეს. ავსტრიელი რეჟისორი კანში ერთხელ უკვე დააჯილდოეს, 2001 წელს, თუმცა მაშინ არა პალმის რტო, არამედ რიგით მეორე - ფესტივალის გრან პრი დაიმსახურა.

თეთრი ბაფთა - ფილმი, რომელმაც მას არა უბრალოდ ოქროს პალმის რტო, არამედ მისი თაობის თითქმის ყველა დიდ რეჟისორებზე უპირატესობა მოაპოვებინა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდის ამსახველია. მოქმედება გერმანიის ერთ-ერთ სოფელში ვითარდება და მოზარდების ცხოვრებას და ურთიერთობებს ასახავს, ცხოვრებას ომის ფონზე. რამდენიმე ოჯახის ისტორიით რეჟისორმა ძალადობის კონკრეტული - საოჯახო და ზოგადი ძალადობის - საომარი ვითარების პარალელების მოხდენა შეძლო. საბოლოოდ სახეზეა ერთი დიდი დანაშაული და მრავალი ეჭვმიტანილი. ფილმი ისე მთავრდება, რომ მაინც არ ირკვევა, ვინ დგას ამ დანაშაულის მიღმა. რეჟისორმა, ეს დანაშაული საზოგადოებას დააკისრა და არა კონკრეტულ ადამიანს.

გრან პრი ფრანგ რეჟისორს ჟაკ ოდიარს ერგო ფილმისთვის წინასწარმეტყველი . ეს გახლდათ ფილმი, რომელიც კანში კრიტიკამ ერთხმად აღიარა. ფრანგი ემიგრანტის ყოფა ციხეში და დაბრკოლებების დაძლევა არის ლაიტმოტივი, რომლის ირგვლივაც მან ის კინოენა აამეტყველა, რომლითაც კანში მოიხიბლა სრულიად მსოფლიო კინოკრიტიკა. ჟან ოდიარისთვის ეს პირველი პრიზია კანში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფესტივალზე უკვე ხუთი მისი სურათი არის ნაჩვენები.

ფრანგებისთვის გაღებული პრიზების ჩამონათვალი ამით იწყება, მაგრამ დასრულებამდე ჯერ შორია. ჟიურის სპეციალური პრემია ალან რენეს გადაეცა. ეს რეჟისორი არა მხოლოდ ყველაზე ხნოვანი, არამედ ყველაზე დამსახურებულიც გახლავთ. რენე უკვე ფრანგული კინოს კლასიკაა.

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელი კი შარლოტა გინსბურგი, თანამედროვე ფრანგული კინოს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სახე, დრამატული და ფსიქოლოგიური ფილმების გმირი გახდა. შარლოტამ პრემია დაიმსახურა მწარედ გაკრიტიკებული ფილმის, ლარს ფონ ტრიერის ანტიქრისტეში შესრულებული როლისთვის. მართალია ამ სურათს სუსტი ნერვების მაყურებელმა თურმე ვერ გაუძლო და ჟიურიმაც რეჟისორს ანტიპრიზი შეუთვალა , ცხადია პირობითად... მაგრამ შარლოტა გინსბურგის თამაშით თურმე თავად იზაბელ იუპერი მოიხიბლა.

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ტარანტინოს უსახელო ნაძირლების ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი, არც თუ ცნობილი ავსტრიელი მსახიობი კრისტოფ ვოლტსი დაასახელეს. მართალია ტარანტინომ წითელ ხალიჩაზე წინასწარ ბევრი იცეკვა და იმხიარულა, მაგრამ ამ პრემიის გარდა მის ახალ ნამუშევარს არაფერი მიუღია.

ძირითად ნომინაციებში გამარჯვებულები უკვე გაგიმხილეთ, მაგრამ კანის კინოფესტივალზე კიდევ არის ორი-სამი ისეთი პრიზი, რომლის მოპოვებაც ბევრისთვის ნათელი პერსპექტივის მაუწყებელია, გამცემთათვის კი სინდისის ნიშანი. ცხადია, კანში უნდა ეთქვათ, რომ კინოხელოვნების მომავალი დამწყებთა ხელშია, რომ მათი ყურადღება მხოლოდ კინომამებს არ ეკუთვნით და თანაც ისიც უნდა მიენიშნებინათ, რომ ეს ფესტივალი არაა ცალსახად ევროპული და ევროპულად სნობური. ასე რომ: 1. პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის - ფილიპინელი რეჟისორი ბრილანტ მენდოზა, ფილმისთვის კინატაი ; 2. საკუთესო სცენარი - ჩინელი რეჟისორი ლუ ი (Lou Ye) ფილმისთვის გაზაფხულის ციებცხელება .

კანის 62-ე კინოფესტივალი საზეიმოდ დაიხურა ჟან კუნენის ფილმით კოკო შანელი და სტრავინსკი , რომელშიც მთავარ როლს ულამაზესი იზაბელ ადჯანი ასრულებს. სხვათა შორის, სწორედ ამ ქალბატონმა გახსნა გუშინ საღამოს დაჯილდოების ცერემონია და შემდეგ მასვე უნდა გადაეცა გამარჯვებულისთვის ოქროს პალმის რტო, მაგრამ ორი დღით ადრე ეს გეგმა მისმა სეხნიამ, ოღონდაც ბევრად გავლენიანმა - იუპერმა ჩაშალა. ფრანგული პრესა უკვე ორი დღეა ქილიკობს იმაზე, თუ როგორ არ უყვარს იუპერს ადჯანი. ეს ანტიპატია რომ არც ყოფილიყო, სავარაუდოდ იუპერი მაინც არავის დაუთმობდა მიხაელ ჰანეკესთვის ოქროს პალმის რტოს გადაცემის შანსს.

კანში კინომოყვარეულები და კინოვარსკვლავები სამოცდამეორედ დაიშალნენ. ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ წელს კანში არ იყო არც პოლიტიკა, არც სოციალურ თემატიკაზე გადაღებული კინო. ამბობენ, რომ წელს იყო ბევრი სენტიმენტი და ემოციური კრიზისი. თუმცა ვინ იცის, რამ გამოიწვია ეს კრიზისი. იქნებ პოლიტიკამ და სოციუმის კრიზისმა უბრალოდ სხვა სარტყელში გადაინაცვლა. თანაც სულიერი წონასწორობის ძიება იმ რეჟისორებთან აღინიშნება, რომლებმაც მართალია ბევრი შექმნეს, მაგრამ მაინც ჯერ მხოლოდ ნახევარი გზა განვლეს. და თუ ეს მართლაც კრიზისია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მაშინ ჩვენ მათგან ჯერ კიდევ დიდი სიახლეები გველის.

სპორტი

ჩემპიონატის ფინიში დიდი კითხვის ნიშნებით

სარეკორდო ტური

გელაშვილი 20 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა .

მიხეილ აბაიშვილი

23 მაისს დასკვნითი, 33-ე ტურის შეხვედრებით დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, დასრულდა, თუმცა, კვლავაც ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა. პირველ რიგში, ეს ჩემპიონს ეხება. მართალია, საქართველოს საუკეთესო კლუბის ტიტული თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ვადაზე ერი ტურით ადრე მოიპოვა, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ნათელი, ევროტურნირების დაწყებამდე ამ ტიტულს შეინარცუნებს თუ არა. მხედველობაში მაქვს ყბადაღებული "ჩაწყობილი თამაშების" თემ,ა, რომელიც ბოლო ორი ტვეა ფიგურირებს ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში. საქართველოს პროკურატურას უკვე გადაეცა ოთხი მატჩისვიდეოჩანაწერი, რომელთაგან ორ შეხვედრაში "ვიტ ჯორჯიაა" მონაწილე. "მოლაპარაკებულ თამაშებთან" საბრძოლველად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა სპეციალურ კომისიასაც ქმნიან, რომელიც სწორედ ამ ოთხი შეხვედრის გამოძიებით დაიწყებს მუშაობას. კომისიის მუშაობის თაობაზე "24 საათი" ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდით, მე კი ბოლო ტურს დავუბრუნდები.

დხრილის ზედა ნაწილში პრაქტიკულად ყველ;აფერი გარკვეული იყო - როგორც არ უნდა დასრულებულიყო შეხვედრები, ჩემპიონის, ვერცხლის პრიზიორის და მესამეადგილოსანის გამოვენაში ვერავიუთარი ცვლილება ვერ შევ"ვიტ ჯორჯია", "დინამო" და "ოლიმპი" ასეტი თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო სამეულში ადგილები. ამასთან, საქარტველოდან მეოხე ევროპული საგზურის მფლობელიც წინდაწინ იყო ცნობილი - ეს გახლავთ "ზესტაფონი", რომელმაც,. ბოლო ტურში მარცხის მიუხედავად .მეოთხე პოზიცია შეინარჩუნა და ევროპის ლიგად გადაკეთებულ უეფას თაის საკვალიფიკაციო ტურნირში იასპარეზებს. სატურნირო ფსიქოლოგიური წნეხის არქონის პირობებში გუნდებმა აშკარად გაილაღეს და აწ დასრულებულ ჩემპიონატში ყველაზე უხვგოლიანი ტურიც შედგა, თან ერთი რეკორდიც დამყარდა. კერძოდ, თბილისის "დინამომ" არც ემტი, არც ნაკლები, 12(!) უპასუხო გოლი გაუტანა უიმედო ბოლო ადგილზე მყოფ "ბორჯომს", რითაც საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით მოგების ავტორიც გახდა. თან, ეს მიუხედავად იმისა, რომ კაჭარავამ, რომლის გუნდსაც ერთ კვირაში სეზონის ვყელაზე მნიშვნელოვანი მატჩი ელის, დისკვალიფიკაციის ზღვარზე მყოფი 5 ფეხბურთელი, მათ შორის, კლუბის საუკეთესო ბომბარდირი, გიორგი მერებაშვილი დაასვენა. მერებაშვილის არყოფნაში "პკერით" გამოირჩა ჩერნოგორიელი თავდამსხმელი, ილია სპასოევიჩი.

გაიმარჯვა "ვიტ ჯორჯიამაც", რომელსაც, მართალია, "დინამო" ვერცერთ შემთხვევაში ვეღარ ეწეოდა, მაგრამ ჩემპიონი ამის მიუხედავადაც არ მოდუნებულა და $ უპასუხო გოლი გაუტანა წინა ტურში სწორედ "დინამოს" მძლეველ ზუგდიდის "მგლებს".

მოულოდნე№ლი ანგარიში დაფიქსირდა ზესტაფონში", სადაც მასპინძლები თბილისის "ლოკომოტივთან" დამარცხდნენ. მართალია, გეგუჩაძის გუნდი დებიუტშივე დაწინაურდა უბერებელი იონანიძის გოლის წყალობით, რომელმაც ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა, მაგრამ შემდგომ ზედიზედ სამი გოლი გაუშვა და საბოლოოდ 1:3 დათმო შეხვედრა.

ერთადერთი მატჩი, რომლის შედეგსაც, ერთი შეხედვით პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ახალციხეში გაიმართა, სადაც ერთმანეთს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის მებრძოლი უშუალო კონკურენტები - ადგილობრივი "მესხეთი" და ცხინვალის "სპარტაკი" დაუპირისპირდნენ. ამ მატჩის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა "გაგრასთვისაც", რომელიც ამ ტურში ისვენებდა და როგორც "მესხეთს", ისე "სპარტაკს" ორი ქულით უსწრებდა. ეს კი ნიშნავდა, რომ ერთ-ერთი გუნდის მოგების შემთხვევაში "გაგრა" დამარცხებულ გუნდთან ერთად პირველ ლიგაში გადაბარგებულის ხვედრს გაიზიარებდა. შეხვედრა "მესხეთმა" მოიგო. მატჩის ბედის გადამწყვეტი ერთადერთი გოლი გონჩაროვმა პირველ ტაიმში გაიტანა და საბოლოო სატურნირო ცხრილის მიხედვით, შეინარჩუნა კიდეც ადგილი უძლიერესთა კომპანიაში. თუმცა, შეინარჩუნა კიდეც და ამის გაკეთება ვერც მოახერხა. და პირიქით: "გაგრა" და "სპარტაკი" გავარდნენ კიდეც და, თან, --- არც გავარდნილან. საქმე იმაშია, რომ ახალციხის "მესხეთი" ვერ აკმაყოფილებს უეფას მიერ შემნოღებული ლიცენზირების პირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გუნდი სპორტული შედეგის მიუხედავად მაინც რტანგით დაქვეითდება, ხოლო გამოთავისუფლებულ ადგილს "გაგრა" დაიკავებს. როგორც ჩანს, "ტუზი" ეცემა სპარტაკსაც": პირველი ლიგიდან უმაღლესში აღზევების კანდიდატი - საქარტველოს თასის ორგზის მფლობელი "ამერი" არასტაბილური ფინანსური ვითარების გამო ჯერ-ჯერობით უარს აცხადებს ამ პატივზე და ადგილს "სპარტაკს" უთმობს.

33-ე ტური

დინამო - ბორჯომი	12:0
ზესტაფონი - ლოკომოტივი	1:3
ვიტ ჯორჯია - მგლები	4:0
მესხეთი - სპარტაკი	1:0
ოლიმპი - სიონი	0:1

მე-20 ეროვნული ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

ვიტ ჯორჯია	30	20	9	1	57	19	69
დინამო	30	19	6	5	70	21	63
ოლიმპი	30	16	9	5	40	20	57
ზესტაფონი	30	16	4	10	43	27	52
სიონი	30	11	11	8	34	30	44
ლოკომოტივი	30	10	8	12	35	33	38
მგლები	30	10	6	14	36	41	36
მესხეთი	30	7	8	15	23	42	29
გაგრა	30	7	7	17	23	48	28
სპარტაკი	30	6	7	17	28	46	25
ბორჯომი	30	2	7	21	21	85	13

ბომბარდირები: ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) - 20, ილია სპასოევიჩი (დინამო) - 13, გიორგი მერებაშვილი (დინამო) - 13.

დროგბას "ჩელსიში" დარჩენა სურს

სულ რამდენიმე დღის წინ თითქმის გადაწყვეტით ითქვა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ლონდონის ძჩელსი დიდიე დროგბას გაყიდის და ამის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ თავად კოტდივუარელ ფორვარდს ჰქონდა კლუბიდან წასვლის სურვილი, თუმცა როგორც ჩანს ამ რამდენიმე დღეში დიდიეს განწყობა შეეცვალა და ახლა იგი აცხადებს, რომ ჩელსის დატოვების სურვილი არ გააჩნია.

ვფიქრობ, ჩელსის ბედნიერი მომავალი ელის, იმიტომ, რომ ჩვენ კარგი საფუძველი ჩავყარეთ, რაც ბევრ ახალბედას იზიდავს გუნდში. მათ იციან, რომ თუ აქ მოვლენ, ყოველ წელიწადს ჯილდოსთვის იბრძოლებენ. ეს კლუბი უკვე შევიდა ისტორიაში და მომავალში კიდევ უფრო ბევრს მიაღწევს. ვამაყობ, რომ ამ წარმატების ნაწილი ვარ და აქ სამუდამოდ დარჩენა მსურს, - დროგბა.

კანუს პორტსმუთი არ ეთმობა
5/23/2009 20:47:04

კანუ კონტრაქტის გაგრძელებას ლამობს

პორტსმუთის ვეტერანი ნიგერიელი ფორვარდი ნვანკო კანუ გუნდის დატოვებას არ ფიქრობს. მეტიც აფრიკელს უნდა, რომ კონტრაქტი, რომლის ვადაც მომავალ წელს იწურება კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს. არადა კანუ პორტსმუთის ძირითად შემადგენლდობაშიმ ფაქტობრივად ვერ ხვდება.

დიახ, კონტრაქტის გაგრძელება მინდა. ჩემს ამჟამინდელ შეთანხმებაში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც პორტსმუთთან ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნა შემიძლია. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ვიმედოვნებ, რომ დავრჩები - დასძენს კანუ.

ლიპი სახეშეცვლილი შემადგელობას წარადგენს

ივნისის თვეში საფეხბურთო სამყაროს ყურადღება კონფედერაციათა თასის მორიგი გათამაშებისკენ იქნება მიპყრობილი. , ტურნირის ფავორიტთა შორის უპირველესად მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს იტალიას მოიხსენიებენ. სკუადრა აძურას დამრიგებელმა მარჩელო ლიპიმ გუშინ საღამოს გააკეთა განცხადება და ჟუენალისტებს აუწყა, რომ სამხრეთ აფრიკაში სახეცვლილ შემადგენლობას წარადგენს. კონფედერაციათა თასზე რამდენიმე ახალბედას წავიყვან. აქცენტს იმ მოთამაშეებზე გავაკეთებ, რომელთაც სერია A-ს მატჩები სტაბილურად კარგ დონეზე ჩაატარეს. მომავალი შეჯიბრება მშვენიერი პოლიგონია საექსპერიმენტოდ. მსურს ისეთივე ბრძოლისუნარიანი ნაკრები შევკრა, როგორიც 2006 წელს გერმანიის სტადიონებზე ასპარეზობდა, საამისოდ კი შემადგენლობის განახლება მართებულად მიმაჩნია , - განაცხადა მარჩელო ლიპიმ. კონფედერაციათა თასის წლევანდელი გათამაშება 14-28 ივნისს ჩატარდება.

ელჯერო ელიას გადაბირების მსურველთა რიცხვი გაიზარდა

მიუნხენის ბაიერნი და ლონდონის არსენალი ენსხედეს ტვენტეს 22 წლის გარემარბ ელჯერო ელიას გადაბირების მსურველთა რიცხვს შეუერთდნენ მიუნხენის ბაიერნი და ლონდონის არსენალი . ელია ტვენტეს ღირსებას 2007 წლიდან იცავს და მისი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. ბაიერნსა და არსენალამდე მისით თავიანთი დაინტერესება მანჩესტერ სიტიმ , ევერტონმა , ესპანიოლმა , ჰამბურგმა , აიაქსმა და ეინდჰოვენმა გამოხატეს. ელიამ ტვენტესთან ახლახანს კონტრაქტი გაახანგრძლივა, მაგრამ, საყოველთაო მოლოდინით, ზაფხულში ის ჩამოთვლილთაგან რომელიმე კლუბში გადავა. იმასაც ამბობენ, რომ მას ჰოლანდიაში დარჩენა აღარ სურს, რაც ბაიერნისა და არსენალის შანსებს კიდევ უფრო ზრდის. მისი შეძენის მსურველმა მხოლოდ 9,6 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს.

არმოწვევის მიზეზი

კარლოს დუნგამ, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურინირისა და ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშებისთვის, გუნდში რონალდინიოსა და რონალდოს არმიწვევის მიზეზი განმარტა. ამის შესახებ ავტორიტელური ბრაზილიური სპორტული გამოცემა Globo იუწყება. ამ მომენტისთვის რონალდინიოს მილანში რთული პერიოდი უდგას. მას მეტი სათამაშო პრაქტიკა ესაჭიროება. ვიმედოვნებ, რომ მომავალ სეზონში იგი მოედანზე უფრო ხშირად იქნება და იმ სათამაშო ფორმას დაიბრუნებს, რომლითაც ყოველთვის აღგვაფრთოვანებდა. რაც შეეხება რონალდოს, მან ტრავმის შემდეგ, სათამაშო კონდიციების აღდგენა დაიწყო. არა მგონი, მას ნაკრებში თავი კომფორტულად ეგრძნო. რონალდომ თავად მთხოვა, რომ მაშინ გამოვიძახო, როდესაც მზად იქნება - დასძინა ფეხბურთის ბრაზილიელმა სპეციალისტმა.

"ევრერტონმა" ორი ფეხბურთელი შეინარჩუნა

ლივერპულის ევერტონის მცველებმა, ჯოზეფ იობომ და ფილ იაგიელკამ კლუბთან მოქმედი ხელშეკრულებები 5 წლით გაახანგრძლივეს.

ევერტონი მოხარულია განაცხადოს, რომ ჯოზეფ იობოსთან და ფილ იაგიელკასთან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა - ნათქვამია კლუბის ოფიციალუ განცხადებაში.

ახალი კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელები ევერტონის ღირსებას 2014 წლამდე დაიცავენ. საგულისხმოა, რომ ლივერპულური გუნდის ქომაგებმა იაგიელკა 2008-2009 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ზე რობერტოს ბრაზილიაში უხმობენ

მიუნხენის ბაიერნის ვეტერან ნახევარმცველ ზე რობერტოს სამშობლოში უხმობენ და კორინთიანსში სათვაზობენ კარეირის გაგრძელებას.

კორინთიანსი გაისად დაარსებიდან 100 წლისთავს აღნიშნავს და კლუბის პრეზიდენტი ანდრეს სანჩესი მოწადინებულია, რომ საიუბილეო სეზონში გუნდში ასეთი სახელიანი ვარსკვლავი იყოლიოს. მისი თქმით, ზე რობერტოსთან კონტრაქტის გაფორმება კლუბის უმთავრესი პრიორიტეტია .

სანჩესის მრჩეველი ჟუან ფინგერი ამჟამად მიუნხენში იმყოფება და საქმის გასაჩარხად ნიადაგს სინჯავს.

ზე რობერტოს ბაიერნთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გასდის და მას ჯერ არ გადაუწყვეტია, დათანხმდეს თუ არა კლუბის წინადადებას ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელების თაობაზე.

მაგათის ნაცვლად ფე?

ვოლფსბურგის გაჩემპიონების შემდეგ ფელიქს მაგათი კლუბს დატოვებს და მომავალი სეზონიდან გელზენკირხენის შალკეს მთავარი მწვრნელის პოსტს დაიკავებს. ცხადია ახლადგამომცხვარი ჩემპიონის მესვეურები ახალი მწვრნელის მოყბვანით არიან დაინტერესებულნი ბოლო და ბოლოს ამ გუნდმა ხომ ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშოს. თავიდან ითქვა, რომ ვოლფსბურგს ფრანკ რაიკაარდს ჩააბარებდნენ, რომელსაც მაღალ დონეზე მუშაობის გამოცდილება აქვს, თუმცა გუშინ გაირკვა, რომ მაგათის ადგილს შარშან შემოდგომაზე შტუტგარტიდან დათხოვნილ არმინ ფეს დანიშნავენ.

ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა გერმანულმა გამოცემამ გაავრცელა, თუმცა ოფიციალურად ფეს დანიშვნის თაობაზე ვოლფსბურგის მესვეურებს განცხადება ჯერ არ გაუკეთებიათ.

ჟო "სიტიში" ბრუნდება

ბრაზილიელი თავდამსხმელი ჟო, რომელიც გასულ ზაფხულში მოსკოვის ცსკადან მანჩესტერ სიტიში გადავიდა, ზამთარში კი ქალაქელებმა იჯარით ევერტონში გაუშვეს, მომავალი სეზონიდან კვლავ სიტის ღირსებას დაიცავს.

ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლივერპულული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა განაცხადა, რომ იგი ჟოს თამაშით აღფრთოვანებულია, თუმცა, კლუბს ფული არ გააჩნია, რათა ფეხბურთელის კონტრაქტი სრულად გამოისყიდოს.

არ ვიცი, სად უნდა ვიშოვოთ ფული, რათა მისი კონტრაქტი გამოვისყიდოთ. მანჩესტერ სიტის კი, მისთვის იჯარის ვადის გაგრძელება არ სურს. ამიტომ, ცხადია იგი სიტიში დაბრუნდება - განაცხადა მოიესმა.

ბაშო დასრულებულია. გაუმარჯოს ჰარუმაფუჯის

ტოკიოში დასრულდა სეზონის რიგით მესამე სუპერტურნირი სუმოში. მაისის ბაშო საკმაოდ წარმატებული გამოდგა ქართველთათვის. დადებითი ბალანსი, ეგრედ წოდებული კატიკოში, ქართველ სუმოისტებს ტურნირის დასრულებამდე ჰქონდათ დაბეებული. შესაბამისად ბაშოს ბოლო მეთხუთმეტე დღე ჩვენებურთათვის ერთგვარ დატვირთვას იყო მოკლებული. მიუხედავად ამისა ტოჩინოშინმა მაინც იმარჯვა და საბოლოოდ ბაშო 9 გამარჯვებით დაასრულა. აი, კოკაიმ კი დასკვნით დღეს მარცხი იწვნია და მხოლოდ 8 გამარჯვებას დასჯერდა.

ამრიგად ორივე ქართველი რეიტინგში წინ წაიწევს. მაისის ბაშოზე კოკაი მეთოთხმეტე მაეგაშირას რანგში ასპარეზობდა და სავარაუდოდ გამოცდილი ქართველი სუმოისტი ივნისის ბანძუკეში სულ მცირე სამი საფეხურით მაინც წაიწევს წინ, რაც შეეხება ტოჩინოშინს იგი ამჟამად დასავლეთის მეცამეტა მაიგაშირას რანგშია და წესით ივნისის ბანძუკეს გამოქვეყნების შემდეგ მერვე მაიგაშირობას მაინც უნდა გამოჰკრას ხელი.

იოკოძუნა ჰაკუჰოს დამარცხებით ჰარუმაფუჯი კარიერაში პირველად დაეუფლა ომპერატორის თასს

ახლა რაც შეეხება თავად მაისის ბაშოს, რომელმაც ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა.

სუპერტურნირის დაწყენბის წინ მთავარ ფავორიტებად ორი იოკოძუნა ჰაკუჰო და ასოშორიუ მოიაზრებოდა, თუმცა თავად ბაშოს მსვლელობისას ამ დუეტს სერიოზული კონკურენცია გაუწია ოძეკმა ჰარუმაფუჯიმ.

ასოშორიუმ ბაშოს სტარტზევე წაიფორხილა. აი, ჰარუმაფუჯი და ჰაკუჰო კარგა ხანს დაუმარცხებლად ასპარეზობდნენ, ბოლო სამ დღეში კი თითქმის ყველაფერი აირია. ჰარუმაფუჯიმ ჰაკუჰო დაამარცხა, ასოშორიუმ ჰარუმაფუჯი და ბაშოს ბოლო მეთხუთმეტე დღეს სამ სუმოისტს ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდა - 13 გამარჯვება და თითო მარცხი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი სწორედ გუშინ უნდა გარკვეულიყო. ლიდერებიდან დოჰიოზე პირველი ჰარუმაფუჯი გავიდა და აღმოსავლეთის ოძეკ კოქოშუს დამარცხებით საფლეიოფო ბრძოლა გაინაღდა. ამის შემდეგ კი ერთმანეთის პირისპირ უკვე ორი ოძეკი წარსდგა. ჰაკუჰომ ასოშორიუს დამარცხება შეძლო და დაინიშნა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ჰარუმაფუჯიმ ამ ბაშოზე ზედიზედ მეორედ მოახერხა იოკოძუნა ჰაკუჰოს დამარცხება და იმპერატორის თასიც მოიგო.

ახლადგამომცხვარი გამარჯვებული 1984 წლის 14 აპრილს გახლავთ დაბადებული, როგორც ჰაკუჰო და ასოშორიუ იგიც მონღოლი გახლავთ, ასე, რომ მისი გამარჯვებით მონღოლთა ჰეგემონია თანამედროვე სუმოში არ დარღვეულა.

ფრანკ რაიკაარდი: მანჩესტერი შეცდომებს არ პატიობს

თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრანკ რაიკაარდმა ბარსელონას მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ამჟამად ჰოლანდიელი მწვრთნელი უმუშევრად კი ითვლება, მაგრამ უსაქმური ნამდვილად არ გახლავთ. რამდენიმე დღის წინ რაიკაარდი სამხრეთ აფრიკას სტუმრობდა სადაც ივნისში კონფედერაციის თასის გათამაშება უნდა გაიმართოს, ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი.

ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტმა რაიკაარდი იოჰანესბურგის ერთ-ერთ რესტორანში დაიხელთა და ჰოლანდიელ სპეციალისტს საკმაოდ ვრცელი ინტერვიუც ჩამოართვა. ცხადია თავიდან საუბარი სამხრეთ აფრიკას და იქ გასამართ ორ ტურნირს შეეხო, ჟურნალისტმა ვერც მომავალ ჩემპიონთა ლიგის ფინალს აუარა გვერდი. რა თქმა უნდა, საინტერესოა რას ფიქრობს ადამიანი, რომელმაც თავადაც შეძლო ბარსელონასთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება, რომაულ ფინალზე.

- ეს თქვენი პირველი ვიზიტია სამხრეთ აფრიკაში. რა შთაბეჭდილებებით დატოვებთ ქვეყანას?

- დავიწოთ იმით, რომ ცდებით. აქამდე სამხრეთ აფრიკას ორჯერ ვსტუმრობდი. ბარსელონასთან ერთად, მაშინ ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბს ვეთამაშეთ. აღფრთოვანებული ვიყავი იმ ატმოსფეროთი, რომელიც სტადიონზე იყო შექმნილი. მაშინვე ვეწვიეთ სტუმრად ნელსონ მანდელას და ამ შეხვედრამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. საერთო მინდა გითხრათ, რომ მთავარი რაც აქაურობაში მომწონს სამხრეთ აფრიკელი ხალხია. საოცრად თბილი და მეგობრულები არიან. ქუჩაში, რომ მიდიხარ უამრავ მომღიმარ სახეს ხედავ და ეს ძალიან კარგია. ჩემთვის სამწუხაროდ არც მაშინ და არც ახლა არ მქონია იმდენი დრო, რომ ადგილობრივები კარგად გამეცნო და უკეთ დამეთვალიერებინა ქალაქები. ძირითადად საფეხბურთო მოედანი და სასტუმრო ასეთია ჩემი მარშრუტი. საწყენია, რომ ამ ვიზიტის დროსაც ასეთი გრაფიკი მქონდა, არადა ის ბევრი რამაა სანახავი.

რაიკარდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში უხვგოლიანი მატჩი იწინასწარმეტყველა

- ივნისში სამხრეთ აფრიკა კონფედერაციის თასის გათამაშებას მასპინძლობს, თქვენი აზრით ვინ მოიგებს ამ ტურნირს?

-რთული კითხვაა. შეიძლება ბრაზილია. ძალიან ძლიერი გუნდია და ამ ნაკრებში კარგი მოთამაშეები შეიკრიბა. თანაც ბრაზილიელებს გამარჯვება მუდმივად სწყურიათ, მათთვის არ არსებობს მნიშვნელოლვანი და უმნიშვნელო ტურნირები. ბრაზილიის ნაკრებს მუდმივად დაჰყვება უამრავი გულშემატკივარი და ფეხბურთელები არასდროს აძლევენ საკუთარ თავის იმის უფლებას, რომ მოდუნდნენ. აგრეთვე სეპანეთის ნაკრები, ბოლოს და ბოლოს ევროპის ჩემპიონები არიან. იცით მე არც ეგვიპტის ნაკრებქს გამოვრიცხავ, ვფიქრობ მთავარ სიურპრიზსს სწორედ ეს გუნდი შემოგვთავაზებს. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკის ნაკრებს, ამ გუნდის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, თუმცა დარწმუნებული ვარ საკუთარ მოედანზე გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებენ.

- თქვენი აზრით რამდენად წარმატებული იქნება აფრიკული გვეყნებისთვის 2010 წლის მუნდიალი?

- აფრიკული ფეხბურთი უკვე დიდი ხანია სოლიდურ ძალას წარმოადგენს. აფრიკელი ფეხბურთელები წამყვან ევროპულ კლუბებში თამაშობენ. კოტ დივუარის, ნიგერიის და კამერუნის ნაკრებები დარწმუნებული ვარ კარგ ტურნირს ჩაატარებენ, არ უნდა დაგვავიწყდეს ეგვიპტეც, რომელიც აფრიკის მომქმედი ჩემპიონია.

- ხომ არ არის შესაძლებელი, რომ უახლოეს მომავალში ფრანკ რაიკაარდი, რომელიმე ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრნელად ვიხილოთ?

- ნაკრების მწვრნელი უკვე ვიყავი, შემდეგ კლუბში ვიმუშავე. ვფიქრობ სამწვრთნელო კარიერეას კვლავ საკლუბო დონეზე გავაგრძელებ.

- ბარსელონა ჩემპიონთა ლიგის ფინალშია, როგორი შანსები აქვს ამ გუნდს მანჩესტერთან თამაშში?

- ეს იქნება ფანტასტიკური ფინალი. ერთმანეთის პირისპირ მსოფლიოს ორი უძლიერესი გუნდი წარსდგება. მიმაჩნია, რომ საყურებლად თამაში ძალიან საინტერესო იქნება. დადებითი მხარეები ორივე გუნდს აქვს. მანჩესტერს ჰყავს რონალდუ და არაერთი უმაყღესი კლასის ფეხბურთელი. ბარსელონა ულამაზეს ფეხბურთს თამაშობს. ვფიქრობ ის გუნდი მოიგებს ვინც მეტს გაიტანს. ეს იქნება შეტევის შეჯიბრი. ამავდროულად თუ ბარსელონამ შეძლო და ყურადღებით ითამაშა დლაცვაში აუცილებლად დაამარცხებს მანჩესტერს . ხოლო თუ კონცენტრაცია დაკარგეს და დაცვაში შეცდომებმა იმრავლა კატალონიელები განწირული არიან. მანჩესტერი შეცდომებს არავის პატობს.

- გულშემატკივარი აღფრთოვანებულია მესის თამაშით, რამდენად კარგი ფეხბურთელია იგი?

- არც ვიცი რა ვთქვა. უნიკუმია. მის პოტენციალს საზვარი არ აქვს. როდესაც რამდენიმე წლის წინ პირველად ვნახე, გადავირიე, რას აკეთებდა ბურთთან მუშაობიტსას ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია. მესი ჯერაც ძალიან ახალგაზრდაა და ეს კარგია. ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ წლებთან ერთად კიდევ უფრო უკეთ ითამაშებს. და თავად განსაჯეთ რაოდენ დიდ ფეხბურთს ითამაშებს ეს ბიჭი მომავალში, როდესაც დღეს უკვე უნიკალურ ფეხბურთს გვიჩვენებს. ფეხბურთი იმისთვის მოიგონეს, რომ ხალხმა თამაშის ხილვით ისიამოვნოს, მესი სწორედ ამას აკეთებს მინდორზე. გამოდის სათამაშოდ და არ აქვს ვინ უყურებს მის თამაშს, ბარსას გულშემატკივარი თუ ნებისმიერი სხვა. მესის თამაშით ყველა სიამოვნებას იღებს.

- ალბათ იგივეს თქმა შეიძლებოდა რონალდინიოზე, როდესაც თქვენ ბარსელონას წვრთნიდით. როგორ ფიქრობთ შეძლებს იგი ჩვეული კნდიციების დაბრუნებას?

- რონალდინიო კიდევ ერთი განსაკუთრებული ფეხბურთელია. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ იმ ფეხბურთელთა შორის, რომლებთანაც მე მიმუშავტა რონალდიონიო ყჰველაზე ნიჭიერი იყო. ბარსელონში იგი საფეხბურთო სპექტაკლებს დგავდა. ახლა ხშირად მესმის, ხალხი ამბობს, რომ რონალდინიო ჩვეულ ფორმას ვერ აღიდგენს, პირადად მე ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ. დარწმუნებული ვარ ათამაშდება და ისევე როგორც მესი უამრავ სიხარულს მოუტანს ფეხბურთის გულშემატკივარს.

- შეგიძლიათ დაგვისახელოთ ის ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, რომელიც საუკეთესოდ მიგაჩნიათ, რა თქმა უნდა იმ ფეხბურთელებს ვგულისხმობთ ვისთანაც თქვენ გიმუშავიათ?

- არა ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. მე გამიმართლა. ისეთ ფეხბურთელებთან მომიწია მუშაობა, რომ მათ შორის ერთ საუკეთესოს ვერ გამოვარჩევ.

- თქვენ წარმატებას მიაღწიეთ, როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრნელმაც. ჩქვენს კარიერაზე ყველაზე დიდი გავლენა ვინ იქონია?

- ბევრი ადამიანის ჩამოთვლა შემიძლია. თუმცა წინა კითხვისგან განსხვავებით აქ არ გამიჭირდება ერთის გამოყოფა - იოჰან კრუიფი.

- თქვენი მომავალოის შესახებ უამრავი ჭორი ვრცელდება. ხომ არ შეგიძლდიათ გვითხრათ რას აპირებთ?

- ჩემი მომავალი? აბა რა გითხრათ. ჭორები იყო და იქნება. გაზეთები საკუთარ ვარიანტებს ყოველთვის დაბეჭდავენ. მე კი ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. ჯერ თავადაც არ ვიცი ბოლომდე რას გავაკეთებ მომავალში. შესაძლოა ერთ-ორ კვირაში ყველაფერი გაირკვეს. რა თქმა უნდა ფეხბურთში დავრჩები და მწვრნელად ვიმუშავებ, აი რომელ კლუბში იქნება ეს ჯერ ვერ გეტყვით.

ბრაუნელებმა მონტე კარლოში ჯეკ-პოტი მოხსნეს

გიგა გურასაშვილი

წარუმატებელი რბოლების შემდეგ კიმი რაიკონენმა მონაკოში ფერარის პროგრესსა და მონტე კარლოს ვიწრო ქუჩების ხუთი თითივით ცოდნას გაუსვა ხაზი. მართალია, არაერთხელ დაუმტკიცებია საკუთარი სარბოლო განსწავლულობაც, მაგრამ მრავალრიცხოვანმა წარუმატებლობებმა ფინელი მხოლოდ ერთხელ მიიყვანა მონაკოს პირველ საფეხურამდე. მონტე კარლოს ქუჩებში კარიერის მეორე გამარჯვებამდე ახლაც ახლოს იყო, მაგრამ ბრაუნ GP -ის ბრიტანელი ჯენსონ ბატონი, ისევე როგორც სრულიად ბრაუნის საჯინიბო, უწინდელი ეტაპების მსგავსად აქაც შეუდარებელი აღმოჩნდა.

მონტე კარლოს ქუჩებში ბრაუნელები გაბატონდნენ

ბრაუნ GP -ის ბრაზილიელმა მონაკოს რბოლამდე გუნდის ხელმძღვანელობას არაერთხელ მიანიშნა, გამარჯვებების დრო დამიდგაო. ამასთან სტატისტიკაც მის სასარგებლოდ მეტყველებდა. სტატისტიკას კი კვალიფიკაციაზე ნაჩვენებ მესამე შედეგთან მივყავართ. საქმე ისაა, რომ მონაკოში დაკავებული სასტარტო მესამე საფეხური არცთუ ცუდი პოზიციაა. ცოტა გამართლება და მრბოლის ოსტატობა სავსებით შესაძლებელია კვარცხლბეკის პირველ საფეხურის დაკავებად გარდაიქმნას. ადრეულ წლებში თუ პოულის მომგები ვერ ახერხებდა საკუთარი შესაძლებლობების სრულიად წარმოჩენას, მონაკოს დიდ პრიზს გამარჯვებულად სწორედ კვალიფიკაციის მესამე საფეხურის მქონე მრბოლები ევლინებოდნენ. ასე მაგალითად, 2000 და 2003 წლებში მსგავს წარმატებებს მიაღწიეს დევიდ კულჰარდმა და ხუანპაბლო მონტოიამ. შარშან კი იგივე შედეგი ჰქონდა მომავალ ჩემპიონს ლუის ჰამილტონს, რომლისთვისაც მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი მეტად წარუმატებელი გამოდგა. შაბათის კვალიფიკაციაზე ავარიის წყალობით მაკლარენელი მონტე კარლოს ქუჩებში რბოლას ბოლო საფეხურიდან შეუდგა. თუმცა იმდენი მოახერხა, რომ ასპარეზობაში მეთორმეტე საფეხურამდე დაწინაურდა.

სამეფო რბოლებისთვის არატიპურ მონტე კარლოს ტრასაზე ბოლო საფეხური და საერთოდ მოწინავე ოთხეულს მიღმა რბოლა რომ არავის უქადდის წარმატებას ამას ტრასის მახასიათებლები განაპირობებს - მონტე კარლოს ვიწრო ქუჩები ფაქტობრივად არ იძლევა გადასწრების საშუალებას.

როგორც არ უნდა იყოს, ჩამოთვლილთაგან ფინიშის ხაზთან პირველი მიიჭრა ჯენსონ ბატონი და იმავდროულად სეზონის მეხუთე, ხოლო კარიერის მეექვსე გამარჯვება იზეიმა. ბრიტანელის ბრაზილიელი თანაგუნდელის რუბენს ბარიკელოს მეორე ადგილით კი ბრაუნელებმა დუბლი გაახერხეს.

მონაკოს დიდი პრიზი. 78 წრე
ტრასის სიგრძე: 3,340 კმ.
რბოლის დისტანცია: 260,520 კმ.

1. ჯენსონ ბატონი (ბრაუნ GP)	1:40:44.282
2. რუბენს ბარიკელო (ბრაუნ GP)	+7,6
3. კიმი რაიკონენი (ფერარი)	+13,4
4. ფელიპე მასა (ფერარი)	+15,1
5. მარკ უებერი (რედ ბული)	+15,7
6. ნიკო როსბერგი (უილიამსი)	+33,5
7. ფერნანდო ალონსო (რენო)	+37,8
8. სებასტიან ბურდე (ტორო როსო)	+63,1

მრბოლთა დავა:

1. ჯენსონ ბატონი (დ. ბრიტანეთი)	51
2. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია)	35
3. სებასტიან ფეტელი (გერმანია)	23
4. მარკ უებერი (ავსტრალია)	19.5
5. იარნო ტრული (იტალია)	14.5
6. ტიმო გლოკი (გერმანია)	12
7. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი)	11
8. კიმი რაიკონენი (ფინეთი)	9
9. ლუის ჰემილტონი (დ. ბრიტანეთი)	9
10. ფელიპე მასა (ბრაზილია)	8
11. ნიკო როსბერგი (გერმანია)	7,5
12. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია)	6
13. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი)	4
14. სებასტიან ბუემი (შვეიცარია)	3
15. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი)	2
16. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია)	0
17. ედრიან სუტილი (გერმანია)	0
18. ნელსონ პიკე (ბრაზილია)	0
19. რობერტ კუბიცა (პოლონეთი)	0
20. კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია)	0

კონსტრუქტორთა ჩათვლა:

1. (ბრაუნ GP)	86
2. რედ ბული	42,5
3. ტოიოტა	26,5
4. ფერარი	17
5. მაკლარენ-მერსედესი)	13
6. რენო	11
7. უილიამსი	7,5
8. BMW-ზაუბერი	6
9. ტორო როსო	5
10. ფორს-ინდია	0

კანავარო არ ნანობს

სამი წლის წინ იუვენტუსიდან რეალში გადააბარგებული, ახლა კი საპირისპირო მიმართულებაზე მდგარი იტალიის ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო, რეალში გატარებული სამი წლითაც კმაყოფილია და არც იმას ნანობს, რომ მომავალი სეზონიდან კვლავ იუვეს ღირსებას დაიცავს. რეალის ქომაგებთან დამშვიდობების დრო მოვიდა. ბევრი ვიფიქრე - გამეგრძელებინა თუ არა კარიერა მადრიდში, მაგრამ საბოლოოდ, იუვენტუსში დაბრუნება გადავწყვიტე. ესპანეთში არაერთი მეგობარი შევიძინე და უამრავი საინტერესო ადამიანი გავიცანი, რომელთაც დიდ პატივს ვცემ. გული მწყდება რომ მივდივარ? არა, რადგან ეს არასწორი იქნებოდა. განვლილი სამი წლის განმავლობაში, რაც რეალის ღირსებას ვიცავდი, კლუბისათვის სრულად ვიხარჯებოდი - განაცხადა კანავარომ.

კრესპო "ჯენოაში" გადადის

ეს სეზონი ჯენოამ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა და მომავალი სეზონიდან ევროთასებზეც იასპარეზებს, შესაბამისად გუნდს გაძლიერება სჭირდება მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს საკმაოდ დიდი ალბათობა გუნდიდან დიეგო მიტილოს წასვლისა, რომელსაც მანჩესტერში იწვევენ. სწორედ თავდასხმის ხაზის გაძლიერებას გეგმავს კლუბის ხელმძღვანელობა და თუ კლუბის პრეზიდენტ ენრიკო პრეციოზის ვერწმუნებით, დიდი შანსია, ლუიჯი ფერარისზე ჯენოას გულშემატკივრებმა ვეტერანი არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო იხილონ. სამხრეთ ამერიკელთან კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ მას ვესაუბრე და პრაქტიკულად ყველა დეტალი შევათანხმეთ. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კრესპო 99.9 პროცენტით ჯენოას ფეხბურთელია , - კლუბის პრეზიდენტის ეს სიტყვები ერთ ერთმა იტალიურმა გამოცემამ გაავრცელა..

დიეგო უკვე ტურინელია

ყველაფერი გარკვეულია, მე იუვეში მივდივარ. იქითა კვირაში ტრანსფერის დასრულების შესახებ უკვე ოფიციალურადაც გამოცხადდება - აღნიშნა ბრემენის ვერდერის 24 წლის ბრაზილიელმა გამთამაშებელმა დიეგომ. როგორც ბილდმა გაარკვია, მხარეები უკვე მართლაც ყველაფერზე შეთანხმდნენ: იუვე ჯამში 33,35 მილიონ ევროს გადაიხდის, საიდანაც 85 პროცენტი, ანუ 29 მილიონი, ვერდერს , ხოლო 15 პროცენტი, ანუ 4,35 მილიონი, დიეგოს მამასა და აგენტ ჯაირ და კუნიას ერგება. ბილდის ცნობით, დიეგოსა და ვერდერის კონტრაქტის ეს 15-პროცენტიანი მუხლი ამ სატრანსფერო მარათონისას ყველაზე ძნელად გადასალახი დაბრკოლება გამოდგა.

ბრაზილიელი ნახევარმცველი მუსიკოსებში 3 წლის განმავლობაში სოლირებდა და 84 ბუნდესლიგურ შეხვედრაში 38 გოლი გაიტანა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
საერთაშორისო ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0102, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს საერთაშორისო ერთეტაპიან ტენდერს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო გასაცემლების გაცემის საბანკო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. გასაწევი მომსახურების აღწერა:

სახელმწიფო პენსიების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენდიების გაცემის საბანკო მომსახურება.

3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები - 2009 წლის ივლისიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც.

5. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 16 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N302006300. გადახდის დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი, საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, სოციალური მომსახურების სააგენტო.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 17 ივნისის 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 218, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

7.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღებული უნდა იყოს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე არაუადრეს 2 კვირისა;

დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ვ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

ზ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზია;

თ) ფინანსური ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ინფორმაცია ფილიალების (განყოფილებების, სერვის ცენტრებისა და სტრუქტურული ერთეულების) შესახებ.

ი) სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდება (არსებობის შემთხვევაში).

8. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 1 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით. (ნოტარიულად დამოწმებული ასლის შემთხვევაში, დამოწმება განხორციელებული უნდა იყოს არაუადრეს 2009 წლის 1 ივნისისა).

9. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

10. იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული სატენდერო წინადადებები.

15. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

16. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მარინე კერესელიძე მისამართზე: სოციალური მომსახურების სააგენტო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. N51 (მე-2 სართული, ოთახი 232, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). ტელ: 96 27 21. **E-mail: ssa.gov.ge**

იყიდება!

მოქმედი მრავალფრაქციული
"დრაბილკა",
ლიცენზირებული კარიერით
80 000 კბ. მ-ზე
ტექნიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი:
877 24 44 84

2009 წლის 29 მაისს დღის 12 საათზე სს "საქართველოს საზღვაო" ბანკი, ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით განმეორებით საწყისი ფასის 75%-ის ფარგლებში აცხადებს საჯარო აუქციონს. გასაყიდად გატანილი იქნება ბანკის საკუთრებაში არსებული ოქრო, კერძოდ:

1. 375 სინჯის (ჯართი) 2899.6 გრამი * 7.5$ = 21747 აშშ დოლარი.
2. 500 სინჯის (ჯართი) 1638.9 გრამი * 14.25$ = 23354.32 აშშ დოლარი .
3. 583 სინჯის (ჯართი) 25648.9 გრამი * 16.5$ = 423206.85 აშშ დოლარი .
4. 750 სინჯის (ჯართი) 177.1 გრამი * 18.75$ = 3320.62 აშშ დოლარი .
5. 900 სინჯის (ჯართი) 1005.5 გრამი * 21$ = 21115.5 აშშ დოლარი .
6. 958 სინჯის (ჯართი) 1052 გრამი * 25.5$ = 26826 აშშ დოლარი .
7. ბრილიანტებში და ნაკეთობებში გადატანილები 48156.75 აშშ დოლარის ღირებულების

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2009 წლის 29 მაისის 11სთ-სა და 30წუთამდე, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი 26 მაისის ქ. N33.

Aყველა სხვა პირს რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდად გატანილ ოქროს ნივთებზე ვალდებულნი არიან ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ოქროს ნივთების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" შენობაში, მისამართი ქ. ბათუმი 26 მაისის ქ.N33. ტელეფ: 7-60-03.

სს "საქართველოს საზღვაო" ბანკის საუქციონო კომისია

ბეტონშემრევი:
BMC PRO 935 FTE 8X4

მიწოდების ვადა
1 დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი:BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ.3
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro2) Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
TEGETA TRUCK & BUS LTD
24-47-44, 24-47-44 (1219)